ყოველ ქვეყანაზე მეტად ვუყვარვარ, ვისაც ვეთაყვანები!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 238 (5339) | ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია:

ბოლშევიკურად ვემზადოთ ციტრუსების გამოზამთრებისათვის (მოწვინავე)
თბილისის პროფკავშირული აქტივის კრების მისალმება ამხანაგ **სტალინს** (1-ლი გვ.)
პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ამხ. **ჯ. ბ. მოსკატოვის** მოხსენება (მე-2 გვ.).
რადიოტელეფონით ლაპარაკი ამურის კომსომოლსკთან (1-ლი გვ.)
გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის პლენუმი (1-ლი გვ.)
გ. კიკნაძე — ისტორიული დეკრეტის 20 წლისთავი (მე-2 გვერდი)
უფრო გაბედულად დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას („პრავდის“ მოწვინავე. მე-3 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)
ლ. ვ. მარუაშვილი — მოწვინავე სოციალისტური შრომის მოქმედებას — მოწვინავე მეცნიერებას (მე-3 გვ.).
უცხოეთში:
მუსოლინი თავხედურად ემუქრება ევროპას (მე-4 გვ.)
იტალიის მოთხოვნები ინგლისისადმი (მე-4 გვ.)
ჩინეთის რესპუბლიკის 27 წლისთავი (მე-2 გვ.).

ბოლშევიკურად ვემზადოთ ციტრუსების გამოზამთრებისათვის

საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ენერგიულად იბრძვიან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების შესასრულებლად, რომელიც მიღებულია ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით. პარტიისა და მთავრობის ეს ცხობილი დადგენილება ითვალისწინებს საქართველოს შავი-ზღვის სანაპიროებზე 1940 წლისათვის ციტრუსოვანთა ნარგავების გაშენებას 20 ათასამდე ჰექტარზე. ციტრუსოვანი კულტურები ფართოდ დამკვიდრდა და ყოველწლიურად წარმატებით ვითარდება არა მარტო ძველ ციტრუსოვან რაიონებში, არამედ ისეთ რაიონებშიც, როგორიცაა წალენჯიხა, გეგეჭკორი, აბაშა, ჩოხატაური და სხვ. ციტრუსოვანთა მეურნეობა ჩვენში აღმავლობას განიცდის, მაგრამ პარტიისა და მთავრობის ამ საბრძოლო დავალების შესასრულებლად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ქართველი ხალხის საამაყო შვილი, ამხანაგი **ლავრენტი ბერია** ამბობდა: „ჩვენს შემდგომ ამოცანას წარმოადგენს ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლის გაუმჯობესება, პლანტაციების მოვლის საქმეში არსებული გაუპიროვნების ლიკვიდაცია და ციტრუსების სანერგე მეურნეობის დაყენების საფუძვლიანად გაუმჯობესება“. ამხანაგ ლ. ბერიას ამ მითითების შესასრულებლად ერთერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ციტრუსების დაცვა ყინვისაგან. შემჩნეულია, რომ ზოგიერთი მუშაკი ადგილზე კმაყოფილდება ციტრუსების გაშენების გეგმების შესრულებით. ეს სწორი არ არის. ამ სამუშაოს შესრულება არც ისე ძნელია. ყველაზე მნიშვნელოვანია უზრუნველვყოთ გაშენების შემდეგ პლანტაციების ყოველდღიური მოვლა ისე, როგორც ამას ციტრუსების აგროტექნიკა ითვალისწინებს.

სუბტროპიკული რაიონების ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, საქშინსახკომმა და ლიმონტრესტმა, საქმე ისე უნდა მოაწყონ, რომ ციტრუსოვანი ნარგავების გულდასმით მოვლა სწარმოებდეს მთელი წლის განმავლობაში.

მოსალოდნელი ყინვებისაგან ციტრუსების დასაცავად განუზრელად უნდა გავატაროთ ცხოვრებაში როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ღონისძიებანი.

ცნობილია, რომ შემოდგომაზე და ზამთარში სინესტის დიდი რაოდენობით დაგროვება ნიადაგში არის ერთერთი მთავარი მიზეზი ყინვისადმი ციტრუსოვანი ხის გამძლეობის შემცირებისა. ამიტომ სადრენაჟო ქსელის მოწყობას მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდოთ და იგი არავითარ შემთხვევაში არ დავაგვიანოთ.

ცნობილია აგრეთვე, რომ ჯანსაღი მცენარე, როცა მასზე არავითარი მავნებელი არ არის, კარგად უძლებს ყინვებს. ეს გვიკარნახებს ციტრუსების საშემოდგომო-საზამთრო წამლობა სანიმუშოდ ჩავატაროთ, რადგან ესეც ერთერთი არაპირდაპირი ღონისძიებაა ციტრუსების დასაცავად ყინვებისაგან.

სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა, და საბჭოთა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ორგანოებმა ამთავითვე უნდა გაშალონ მუშაობა და უზრუნველჰყონ ყინვებისაგან ციტრუსების დაცვის ისეთ პირდაპირ ღონისძიებათა გატარება, როგორიცაა მიწის შემოყრა, ინდივიდუალური შეხვევა, გათბობა და სხვ. მტკიცედ უნდა დავეეროგოთ ციტრუსოვანი ხისადმი ინდივიდუალური მიდგომა. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს იმ გარემოებას, როცა ციტრუსის ყველა ნაკვეთისადმი ერთსა და იმავე ღონისძიებებს ატარებდნენ, ძნელებობაში არ იღებდნენ მიკრო-უბნებს. ყინვებისაგან ციტრუსების დასაცავად საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა და იმ ღონისძიებათა განხორციელება, რაც მოცემულია ყინვებისაგან ციტრუსების დაცვის ახალ ინსტრუქციაში.

თათბირებზე, რომელიც იწვევა მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, ხობის, ზუგდიდის, წალენჯიხის რაიონებში, ფოთში, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, ფართოდ უნდა დაამუშაონ ციტრუსოვანთა 1938-39 წლის ზამთრის ყინვებისაგან და ტუნგოს ნარგავების და ნერგების დაცვის ინსტრუქცია, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი თვითეული მეურნეობის, კოლმეურნეობის, აგრეთვე სანერგე მეურნეობის მიმართ და ცალკეული ცივი და თბილი მიკრო-უბნები მიაკუთვნონ ინსტრუქციით დაწესებულ სათანადო ჯგუფებს. რაიონულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ ამ ღონისძიებათა სტახანოველთა, სპეციალისტთა და მცდელ კოლმეურნეთა ფართოდ დასწრება. ყოველგვარი პარადობისა და ხმაურობის გარეშე საჭიროა დასახონ საქმიანი ღონისძიებანი. მაგრამ ღონისძიება, რა კარგიც არ უნდა იყოს იგი თავისთავად, ნაყოფს არ გამოიღებს, თუ მას არ განახორციელებენ. ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ უზრუნველვყოთ დასახულ ღონისძიებათა მთლიანად გატარება ცხოვრებაში.

ამასთანავე საჭიროა ფრთხილად და დროულად გავატაროთ ციტრუსოვანთა ნერგების გადატანა ფარდულებში. ნერგების ამოღება ისე უნდა მოხდეს, რომ არავითარი შემთხვევაში არ დავუშვათ ნერგის ფესვთა სისტემის მექანიკური დაზიანება. რაიმიწგანებმა ამ სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის უნდა დააწესონ მტკიცე კონტროლი. ციტრუსების სპეციალისტებმა ამ საქმეში უნდა გვიჩვენონ ოპერატიული მუშაობის უნარი.

ადგილებიდან მოსული სიგნალები მოწმობენ, რომ გამოზამთრებისათვის მზადება ზოგან ჯერ კიდევ არ გაუშლიათ. ქობულეთის, ბათუმისა და ლანჩხუთის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჭიანურდება ფარდულების რემონტი. ლანჩხუთისა და ბათუმის რაიონებში ჯერაც არ შესდგომიან სილის მომარაგებას. ზოგიერთი მუშაკი ადგილზე ფიქრობს—სილის მომარაგება ჯერ ადრეა, მოვასწრებთო. ასეთი განწყობილება საზიანოა საქმისათვის. ზამთარი ახლოვდება. ამთავითვე ყოველგვარი ზომა უნდა მივიღოთ იმისათვის, რათა ციტრუსების გამოზამთრებისათვის მზადება ენერგიულად გავმლოთ.

მთელი მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ ყინვისაგან არ დაზიანდეს **არცერთი ხე, არცერთი ნარგავი.** კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა მხედველობაში უნდა მიიღონ პლანტაციებისა და თვითეული ციტრუსოვანი ხის თავისებურებანი.

დიდი მნიშვნელობა ეძლევა სამუშაოთა ხარისხს. გასულ წლებში ცოტა რიდი იყო შემთხვევა, როცა ცუდი შეხვევისა და მიწის უყურადღებოდ დატოვების გამო მცენარე ზიანდებოდა. უნდა დავიხსომოთ, რომ ხარისხის გარეშე არ არსებობს გეგმის შესრულება.

ახლა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე ციტრუსოვანთა უხვი მოსავალი მწიფდება, საცაა მანდარინის კრეფაც გაჩაღდება. ამოცანა ის არის, რომ ციტრუსის მოსავლის აღებას მოხერხებულად შევუთავსოთ გამოზამთრებისათვის მზადება და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

გუშინ, ბათუმში გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის პლენუმი. პლენუმი განიხილავს და დასახავს ღონისძიებებს ციტრუსების, ჩაის, ტუნგოს და სხვა კულტურათა მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის. ეს ფაქტიც იმას მოწმობს, თუ რა უდიდესი მზრუნველობით ეპყრობა პარტია და მთავრობა და პირადად დიდი **სტალინი** ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების განვითარებას საქართველოში.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა სუფრას შეეძინოთ მეტი ციტრუსი, სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პლანტაციები,—ასეთია საბრძოლო დავალება. ეჭვი არ არის, რომ ორდენოსანი საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ამ ამოცანას წარმატებით შეასრულებენ.

გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის პლენუმი

(ბათუმი, ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

15 ოქტომბერს, საღამოს, ბათუმში გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის მე-3 გაშლილი პლენუმი. პლენუმს ესწრება 100-ზე მეტი კაცი. მათ შორის აკადემიკოსები, პროფესორები და სხვა მეცნიერი მუშაკები. პლენუმი გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, სუბტროპიკული სექციის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა **ვავილოვმა.**

პლენუმმა საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი,** ამხანაგები **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, მიქოიანი, ეჟოვი, ჟდანოვი, ანდრეევი, ბერია, ჩარკვიანი** და **ბაჭრაძე.** საქმიან პრეზიდიუმში არჩეული არიან აკადემიკოსები ვავილოვი, შმუკი, რიხტერი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ტივაძე, საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. სავაია, საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გიორგაძე, საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ალავიძე, პროფესორი კვარაცხელია და სხვ.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს მიწისახკომის სუბტროპიკულ კულტურათა სამმართველოს უფროსის ამხ. იაკობაშვილის მოხსენება, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილება 1940 წლისათვის საქართველოში ციტრუსოვანთა ნარგავების 20.000 ჰექტარამდე აყვანის შესახებ. ამავე საკითხზე პლენუმმა მოისმინა საკავშირო მიწსახკომის წარმომადგენლის ამხ. კაპტინელის მოხსენება, საქართველოში ლიმონის კულტურის ძირითადი საკითხების შესახებ. თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. ალავიძე. ამით დამთავრდა პირველი სხდომა.

15 ოქტომბერს საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. **მოსკატოვის** მოხსენების ირგვლივ პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის შედეგების შესახებ. კამათში გამოვიდნენ ამხანაგები კაციტაძე (ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა), ორჯონიკიძე (ცაროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა), კაჭარავა (სტალინის სახელობის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა), ჯორჯიშვილი (პარიკმახერთა და აბანოსამრეცხაოების მუშაკთა პროფკავშირი), ჯახველაკი (უმაღლესი სკოლების მუშაკთა პროფკავშირი), კვაჭაძე (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მდივანი), ჰეჭინაძე (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანა), მეფარიშვილი (სპირტარაყღვინის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირი), კილასონია (თბილისაზკვებტრესტი), ღვალაძე (სას.-სამეურნეო ინსტიტუტი), ავეტისოვი (შრომებელთა პროფკავშირი), სმირნოვი, სოლოვიოვი (ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა), განგია, სანიკიძე (მასწავლებელი), გამრეკელი და სხვ. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მკაცრად გააკრიტიკეს ცალკეული პარტორგანოების მუშაობა, ვრცლად ილაპარაკეს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, სტახანოვურ მოძრაობაზე, ახალი კადრების წამოწევაზე და გაამახვილეს ყურადღება მთელ რიგ მტკივნეულ საკითხებზე.

ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მდივანი ამხანაგი **კანდიდ ჩარკვიანი.** ამხანაგი კ. ჩარკვიანი შეეხო პროფკავშირებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს, აღნიშნა პროფესიული კავშირების, როგორც კომუნიზმის სკოლის, უდიდესი მნიშვნელობა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. შემდეგ მან მკაცრად გააკრიტიკა თბილისის საწარმოთა მთელი რიგი პროფორგანიზაციები. კერძოდ ის შეეხო ტრამვაის და ტროლეიბუსების პარკის და სხვა საწარმოთა პროფესიულ ორგანიზაციებში პროფდემოკრატიის უხეშად დარღვევისა და პარტიული ორგანიზაციების არასაკმარ ხელმძღვანელობის ფაქტებს. შემდეგ ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმაზე, თუ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა როგორ უნდა იბრძოლონ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სწავლების ორგანიზაციის უკეთ მოწყობისათვის და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის დადგენილებათა გატარების უზრუნველსაყოფად საქ. პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაუსახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ამხ. მოსკატოვმა საბოლოო სიტყვაში ამომწურავი პასუხი გასცა ყველა შეკითხვას და გააკრიტიკა ზოგიერთი პროფორგანიზაციის უხეირო მუშაობა.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, პროფკავშირთა მუშაობაში არსებული დეფექტების აღმოფხვრაში, მათი მუშაობის აყვანაში ახალ სიმაღლეზე, რომელიც უზრუნველჰყოფს პროფკავშირთა კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის საქმისათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლაში.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ჟ. თბილისის — საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის — პროფკავშირული აქტივის საერთო-საქალაქო კრება მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, სოციალიზმის ქვეყნის ბრძენ მესაჭეს, მთელი მსოფლიოს მშრომელებისა და მთელი პროგრესიული კაცობრიობის დიდ და საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს.

40 წლის წინათ თქვენ, ამხანაგო სტალინ, პირველმა დარაზმეთ საქართველოს და კავკასიის მუშათა კლასი მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად, შეიტანეთ მის რიგებში სოციალისტური შეგნება, ზრდიდით მას სოციალიზმის მტრებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით და ასწავლეთ მას სოციალიზმის დიადი იდეების განხორციელებისათვის ბრძოლის ამოცანებისა და მეთოდების შეგნება.

ახლა, როდესაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით და თქვენი, ამხანაგო სტალინ, ბრძნული წინამძღოლობით, სოციალიზმის ეს დიადი იდეები სინამდვილედ იქცნენ, — ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მრავალმილიონიანმა მუშათა კლასმა და ყველა მშრომელმა იწყო ბედნიერი, საამური, კულტურული ცხოვრება.

ბრძოლისა და გამარჯვებათა იმ სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილთ, რომლებსაც თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი, ჩვენ შემდეგშიც მაღლა გვეპირება ლენინ-სტალინის დიადი დროშა, უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლებთ კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის, განუხრელად განვახორციელებთ ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებს.

ბოლშევიკების პარტიამ გააცამტვერა კონტრრევოლუციური მენშევიკური პრინციპი პროფკავშირების ნეიტრალობისა და ტრედუნიონისტული დამცირება მათი პოლიტიკური როლისა, უფრო მტკიცედ შეამჭიდროვა მუშათა მილიონიანი მასები ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშის გარშემო.

სოციალიზმის ქვეყნის პროფესიული კავშირები, რომლებსაც ბოლშევიკების პარტია ხელმძღვანელობს, გადაიქცნენ გიგანტურ პოლიტიკურ და მორალურ ძალად, კომუნიზმის ნამდვილ სკოლად.

საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების შესახებ თქვენი ბრძნული მითითებების განუხრელად განხორციელების საფუძველზე, პროფესიულმა კავშირებმა გამოამყღავნეს და თავისი რიგებიდან გააძევეს მტაცუებით შეპარული საზიზღარი მტრები ხალხისა, სამშობლოს მოღალატეები.

საქართველოს პროფკავშირებმა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირული აპარატიდან განდევნეს მტრის აგენტურა — ფაშიზმის ტროცკისტა-ბუხარინელი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური დაჯირავებული აგენტები, კონტრრევოლუციონერი ტრედუნიონისტები და ხელმძღვანელ სამუშაოზე დაიწინაურეს აქტივის ახალი კადრები, ხალხის მტრებთან ბრძოლაში შემოწრმებულნი, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულნი.

პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს VI და VII პლენუმების გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედოთ თქვენი ბრძნული მითითებანი ადამიანისადმი, სოციალიზმის მშენებელთა კადრებისადმი გულისხმიერი, მზრუნველობითი დამოკიდებულების შესახებ. ამ გადაწყვეტილებათა შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის მიერ პროფკავშირთა წინაშე დასახულ ამოცანათა განხორციელების, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებების განსაკუთრებით გულისხმიერი და მზრუნველობითი მომსახურების საქმეში, მასების შემოქმედებითი ინიციატივის სათავეში ჩადგომის, სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლის, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეში.

ამ ამოცანათა წარმატებით შესრულება პროფკავშირული მუშაკებისაგან მოითხოვს ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ თქვენი ისტორიული ლოზუნგის განხორციელებას.

თქვენი ინიციატივით და თქვენი პირადი მონაწილეობით შექმნილი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ წარმოადგენს უდიდეს განძს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საგანძურში, პროფკავშირული კადრების ლენინურ-სტალინური გამოწრთობის, მათ მიერ ბოლშევიზმის დაუფლებისა და რევოლუციური სიფხიზლის შემდგომი გაძლიერების უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ საშუალებას.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ჩვენ უზრუნველვყოფთ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VI და VII პლენუმების გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად განხორციელებას, მივალწევთ პროფკავშირული მუშაობის ახალ აღმავლობას, რათა უახლოეს დროში აღმოვფხვრათ მავნებლობის შედეგები და უკეთ მოვაწყოთ მშრომელთა გაზრდილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებების მომსახურება.

ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ რა თქვენს ბრძნულ მითითებებს კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ და ხალხის მობილიზაციური მზადყოფნის აუცილებლობის შესახებ, სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, რომ ჩვენ აღვზრდით მასებს ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!
გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად, უძლეველ დროშას!
გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

რეზოლუცია

ქ. თბილისის პროფაქტივის კრებისა ამხ. ჯ. ბ. მოსკატოვის მოხსენების გამო

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მე-7 პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ

მიღებულია ერთხმად

მოისმინა და განიხილა რა ამხ. მოსკატოვის მოხსენება პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ, ქ. თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება მთლიანად და სავსებით იწონებს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და იღებს მათ განუხრელად შესრულებისათვის.

პროფაქტივის კრება მოუწოდებს ქ. თბილისის ყველა პროფორგანიზაციას ფართოდ გაშალონ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვა ძირეულ პროფორგანიზაციათა კრებებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი პლენუმის გადაწყვეტილებათა გასატარებლად ცხოვრებაში.

კავშირების წევრთა საერთო კრებებზე პროფორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, მუშათა და მოსამსახურეთა შემოქმედებითი ინიციატივა, მიმართული პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებათა უკეთ შესრულებისაკენ.

პროფკავშირული აქტივის კრება გამოსთქვამს რწმენას, რომ თბილისის პროფკავშირთა წევრები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, პროფკავშირთა მუშაობაში არსებული დეფექტების აღმოფხვრაში, მათი მუშაობის აყვანაში ახალ სიმაღლეზე, რომელიც უზრუნველჰყოფს პროფკავშირთა კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის საქმისათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლაში.

თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება

15 ოქტომბრის საღამოს სხდომა

ჯ. ბ. მოსკატოვის მოხსენება პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ, ქ. თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება მთლიანად და სავსებით იწონებს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და იღებს მათ განუხრელად შესრულებისათვის.

პროფაქტივის კრება მოუწოდებს ქ. თბილისის ყველა პროფორგანიზაციას ფართოდ გაშალონ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვა ძირეულ პროფორგანიზაციათა კრებებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი პლენუმის გადაწყვეტილებათა გასატარებლად ცხოვრებაში.

კავშირების წევრთა საერთო კრებებზე პროფორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, მუშათა და მოსამსახურეთა შემოქმედებითი ინიციატივა, მიმართული პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებათა უკეთ შესრულებისაკენ.

პროფკავშირული აქტივის კრება გამოსთქვამს რწმენას, რომ თბილისის პროფკავშირთა წევრები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, პროფკავშირთა მუშაობაში არსებული დეფექტების აღმოფხვრაში, მათი მუშაობის აყვანაში ახალ სიმაღლეზე, რომელიც უზრუნველჰყოფს პროფკავშირთა კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის საქმისათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლაში.

რადიო ტელეფონით ლაპარაკი ამურის კომსომოლსკთან

14 ოქტომბერს დღისით სსრ კავშირის ცენტრალური ტელეგრაფის რადიოსაბარატორში გაიმართა რადიოტელეფონით მორიგი ლაპარაკი მოსკოვსა და ამურის კომსომოლსკს შორის.

მას შემდეგ, რაც თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. მ. მ. კაგანოვიჩს მოკლე საუბარი ჰქონდა თვითმფრინავ „როდინას“ მეთაურ ამხ. გრიზოდუბოვასთან, რომელსაც მან დაწვრილებით გამოჰკითხა ეკიპაჟის ჯანმრთელობის ამბავი, ტელეფონთან მიდის გრიზოდუბოვას ქმარი — კაპიტანი გ. ა. სოკოლოვი. იგი ლაპარაკობს მოსკოვის ცენტრალური აეროდრომიდან.

შემდეგ ამხ. გრიზოდუბოვას ესაუბრება მისი დედა — ნადეჟდა ანდრიას-ასული და მამა — სტეფანე ვასილის-ძე. მათ აინტერესებთ თავისი ქალიშვილისა და მისი სახელოვანი ამხანაგების ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ვალენტინა გრიზოდუბოვა უპასუხებს:

— ჩვენ ყველანი ჯანმრთელად ვართ. ახლა ყველამ მოვიკეთეთ, ვიმატებთ.

რასკოვას დედა ანა სპირიდონის ასული მალინინა და ქალიშვილი ვალენტინა ელაპარაკებიან ქ. მოსკოვის საბჭოთა რაიონის მე-138 სკოლიდან, სადაც თვითმფრინავ „როდინას“ გმირი მტრისმანის ქალიშვილი სწავლობს.

ამხ. რასკოვა ამბობს:

— თავს კარგად ვგრძნობ. დღეს უკვე უჯოხოთ დავიარები. ხვალ ხაბაროვსკში მივდივართ, იქ რამდენიმე დღეს დავრჩებით და მოსკოვისაკენ წამოვალთ. მალე ვიქნებით შინ...

ამურის კომსომოლსკთან ტელეფონით ლაპარაკმა ერთ საათზე მეტს გასტანა. (საკდესი).

მშვიდობით, ძვირფასო მეგობრებო!

„როდინას“ გმირული ეკიპაჟის წერილი

სტოვებდნენ რა კომსომოლსკს, თვითმფრინავ „როდინას“ გმირულმა ეკიპაჟმა მიმართა ახალგაზრდობის ქალაქის მშრომელებს წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

„მშვიდობით, ძვირფასო მეგობრებო!

ვსტოვებთ რა ახალგაზრდა ქალაქს კომსომოლსკს, ჩვენ ერთხელ კიდევ ვუძღვნით კომსომოლსკელებს მხურვალე და გულითად მადლობას იმ დახმარებისათვის, რომელიც აღმოგვიჩინეს, ყურადღებისათვის, გულითადი და კარგი შეხვედრისათვის. კომსომოლსკმა მოახდინა ჩვენზე დიდი ქალაქის — საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის სამრეწველო და კულტურული ცენტრის შთაბეჭდილება. თქვენი ხელით შექმნილი ქარხნები, სკოლები, კლუბები, სახლთა უბნები გვახარებენ ჩვენ, როგორც გვახარებს ჩვენი დიდი საქმის, სოციალისტური მშენებლობის საქმის ყოველი წარმატება.

ჩვენ მოგვეწონა თქვენი ქალაქი, ამხანაგებო. ამ დღეების განმავლობაში ის მშობლიური გახდა ჩვენთვის. კომსომოლსკი აშენებულია გულადი კომკავშირელებისა და კომკავშირელი ქალების ხელით, ამხანაგ სტალინის ინიციატივით, მისი ყოველდღიური დახმარებით. ჩვენ გვიხარია, რომ საშუალება მოგვეცა გვენახა ეს ქალაქი, რომლის მოკლე ისტორია სავსეა ახალგაზრდა მშენებლების გმირობითა და მამაცობით. ჩვენ გვქონდა შეხვედრები აქ შესანიშნავ ადამიანებთან, რომლებიც მუშაობენ თქვენს ქარხნებში, მშენებლობებზე და დაწესებულებებში. ასეთი ადამიანების—მგზნებარე საბჭოთა პატრიოტების წყალობით კომსომოლსკი სწრაფად განვითარდება მომავალშიც, და გაძლიერდება საყვარელი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ.

გაყვარდეთ თქვენი ქალაქი, ამხანაგო კომსომოლსკელებო! ააშენეთ ახალი ქარხნები, გაიყვანეთ ახალი ქუჩები, გააშენეთ პარკები, ყოველდღიურად განამტკიცეთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, იმუშავეთ ისე, როგორც გვასწავლის ჩვენი საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი, ხოლო ჩვენ კი, ძვირფასო ამხანაგებო, გაათკეცებული ენერგიით მოვკიდებთ ხელს მუშაობას, სწავლას, რომ თვითეულმა ჩვენმა ნაბიჯმა ასახელოს სოციალიზმის დიადი ქვეყანა.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობრებო!

თვითმფრინავ „როდინას“ ეკიპაჟი:
ბრიზოდუბოვა, ოსიპენკო, რასკოვა.
ამურის კომსომოლსკი, 15 ოქტომბერი.

საპარაშუტო დესანტით

საპარაშუტო სპორტის ოსტატის კაპიტან პოლეჟაევის ნაამბობი

3 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე ერთეულის მეთაურმა გამომიძახა შტაბში. კომისარმა ამხ. ლობანოვმა მაჩვენა დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თვითმფრინავ „როდინას“ ეკიპაჟი ნაპოვნია. დეპეშაში აღნიშნული იყო თვითმფრინავის ადგილსამყოფელიც.

ერთეულის მეთაურმა ამხ. დენისენკომ მითხრა, რომ მე დაუყოვნებლივ უნდა შევამზადო პარაშუტისტთა ჯგუფი, მოვიმარაგო სურსათ-სანოვაგე, გავფრინდე თვითმფრინავ „როდინას“ დაშვების რაიონში და ეკიპაჟს საჭირო დახმარება აღმოვუჩინო.

არ დავაყოვნე არცერთი წუთი და შევუდექი საპასუხისმგებლო დავალების შესრულებას. ექიმ ამხ. იზოლოვის წინაშე, რომელიც საუცხოო პარაშუტისტად ითვლება ჩვენს ერთეულში, მე დავაყენე

თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნის ამხ. **ჰ. გ. მოსკატოვის** მოხსენება

14 ოქტომბერს თბილისის პროფკავშირული აქტივის კრებაზე, პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის შედეგების შესახებ ამხ. მოსკატოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში პირველი გამოვიდა ამხ. **მიქიაშვილი** (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანა). — საკავშირო პროფსაბჭოს VI პლენუმმა, — ამბობს ამხ. მიქიაშვილი, — უდიდესი როლი შეასრულა პროფესიული კავშირების მუშაობის არსებითად გარდაქმნაში. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით ჩვენი ქარხნის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად ამაღლეს პოლიტიკური სიფხიზლე, შესძლეს გაეწმინდათ თავიანთი რიგები შემთხვევითი ადამიანებისაგან, ტროცკისტ-ბუხარინელი ნაძირალებისაგან, რომლებიც შეპარული იყვნენ ქარხნის ხელმძღვანელობაში.

პროფკავშირული მუშაობის გარდაქმნისა და გაჯანსაღების უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს ის, რომ პროფორგანიზაციის ხელმძღვანელობაში მოვიდნენ ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგული ათობით ახალი ადამიანები — სტახანოველები და შრომის გმირები.

ჩვენი ქარხნის 116 პროფგუფორგმა, რომელთაც ღირსეულად გაშალეს მუშაობა VI პლენუმის დადგენილებათა რეალიზაციისა ივნის, საკმაო შედეგებს მიაღწიეს ქარხნის საწარმოო გეგმის შესრულებაში, პროფკავშირთა აქტივის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, ყულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში და, რაც მთავარია, სტახანოველთა ახალი არმიის აღზრდაში. ჩვენს ქარხანაში ამჟამად 1739 სტახანოველია და 1.558 დამკვრელი. მათ შორის არიან პრაფკავშირული მუშაობის ენტუზიასტები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დეესურაშვილი, ორდენოსანი გეწაძე და სხვები, რომლებიც გეგმას 300—400 პროცენტით ასრულებენ. პროფკავშირული ორგანიზაცია კარგად აწყობს სტახანოველთა გამოცდილების გაზიარებას.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პროფ. **ა. მაჭავარიანი**, რომელიც შეეხო პროფკავშირთა მუშაობის გაჯანსაღებას, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ბრძოლას ჯანდაცვის ღონისძიებათა გაუმჯობესებისათვის, ილაპარაკა საავადმყოფოთა, ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა, დასასვენებელ სახლთა და სანატორიუმთა მუშაობის გაუმჯობესებაზე. ამხ. მაჭავარიანი შეეხო აგრეთვე პროფკავშირების უდიდეს მუშაობას ახალი სამედიცინო კადრების აღზრდის საქმეში.

პროფკავშირულ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული დაუდევრობისა და ბიუროკრატიზმის ელემენტების საღი კრიტიკით გამოვიდა საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე ამხ. **მურუსიძე.**

ამხანაგ ლ. ჰ. ბერიას მითითებათა განხორციელებისათვის, — ლაპარაკობს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორი ამხ. **ვ. სალაძე,** — მჭიდროდ დაარაზმა ქარხნის მთელი კოლექტივი, რის გამო ქარხნის ნახევარი წლის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ახლა ჩვენს წინაშე მკვეთრად დგას წლიური გეგმის შესრულების საკითხი. ამ სერიოზული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის დარაზმულია ქარხნის მთელი კოლექტივი. ქარხნის პროფორგანიზაციამ ფართოდ გაშალა წინააღმდეგობრივ შეჯიბრება. ჩვენ გამოწვეული გვყავს მოსკოვისა და კიევის ავტოსარემონტო ქარხნები. VI პლენუმის დადგენილებების შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენი ქარხნის პროფორგანიზაცია. პროფკავშირული მუშაკები აქტიურად არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. შესაბამისად გაუმჯობესდა მუშათა კულტსაყოფაცხოვრებო მომსახურებაც: კვება, საერთო საცხოვრებლები, დასვენება, გართობა და სხვ.

ამხ. მარო **მაჩაიძემ** (პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე) თავის სიტყვაში მოიყვანა ცუდი სამედიცინო მომსახურების მრავალი შემთხვევა. ხშირად ექიმები ბიულეტენებს აძლევენ ჯანმრთელ ადამიანებს, ზოგჯერ კი საექიმო დასკვნა ავადმყოფის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. ამხ. მაჩაიძემ აღნიშნა, რომ არასაკმაოა მომსახურება პოლიტგანათლების ხაზით კურორტებზედაც.

ამხ. **ბუაძე** (ამიერ-კავკასიის რკინიგზა), შეეხო შორაპნის **საორთქლმავლო** დეპოს პროფორგანიზაციის სუსტ მუშაობას, საგზურების არადროულად განაწილებას და პროფკავშირთა წევრებისადმი არაგულისხმიერ მოპყრობას.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე **სიტომკევი** (ყამოს სახელობის ქარხანა).

ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. **მ. ბარამია,** რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა ორჯონიკიძის რაიონის მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა.— ჯერ კიდევ ადგილი აქვს, — სთქვა მან, — პროფკავშირული დემოკრატიის დარღვევის შემთხვევებს. ვერც პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს საკმაოდ პროფკავშირულ მუშაობას. ჩვენს რაიონში მიმდინარეობს საკმაოდ დიდი მშენებლობა (საჭიაის სახლი, ცირკის შენობა და სხვ.), სადაც მრავალი მუშა-მოსამსახურე მუშაობს, მაგრამ სუსტია პროფკავშირების ხელმძღვანელობა, რის გამო ადგილი აქვს მუშათა დენადობას, დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს და სხვ.

უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მრავალრიცხოვანი პროფკავშირული ორგანიზაციებია, არასაკმაოდ არის გაშლილი პროფკავშირული მუშაობა. დღემდე კიდევ ვერ შესძლეს პროფკავშირის თვითეულ წევრამდე დაეყვანათ VII პლენუმის დადგენილებანი, რომლებიც პროფკავშირთა შემდგომი მუშაობის საბრძოლო პროგრამაა. არასაკმაოდ მუშაობენ პროფორგანიზაციები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლის ორგანიზაციისათვის, წრეების დაკომპლექტებისა, პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისათვის და სხვ.

ტროპიკულმა ინსტიტუტმა წელს საკუთარი ქინაქინით აფხაზეთში 45 კაცი განკურნა. მშრომელთა ჯანმრთელობისათვის საბჭოთა ხელისუფლება არაფერს არ იშურებს, ამიტომ ქინაქინის მცენარის სწრაფი განვითარება ჩვენში უზრუნველყოფილია".

დასასრულ აკადემიკოსმა **ვავილოვმა** განაცხადა:

„ადგილებზე სექციის პლენუმების მოწვევით გვინდა რაც შეიძლება მეტად დავუახლოვოთ მეცნიერება წარმოებას, მოვაწყოთ გამოცდილებათა ფართოდ გაზიარება, დავაგროვოთ მასების გამოცდილება სუბტროპიკული კულტურების დარგში. მესამე ხუთწლედის საკითხების საუკეთესოდ გადაჭრისათვის პლენუმი უპირველეს ყოვლისა გაიხიზილავს ლიმონის ფართოდ გავრცელების საკითხებს, ჩაის კულტურის განვითარებასთან დაკავშირებით. ჩაის ფართობები თითქმის უნდა გაორკეცდეს. ჩაი გახვითარდება ახალ რაიონებში — აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარეშიც. ამიტომ საჭირო იქნება დიდძალი მაღალხარისხოვანი თესლი, საჭირო იქნება თესლისა და დარგვის წესების გაუმჯობესება. ამ ამოცანის გადაწყვეტა უნდა უზრუნველვყოთ. პლენუმმა დაწვრილებით უნდა განიხილოს აგრეთვე ტუნგოს აგროტექნიკა და სელექცია.

ახლა მთავარია შევისწავლოთ თვითეული საბჭოთა მეურნეობის, ყოლმეურნეობის, ყველა მოწინავე მუშაკის გამოცდილება, და იგი ყველასათვის მისაწვდომი გავხადოთ. პლენუმი გაგრძელდება 19 ოქტომბრამდე. შემდეგ გავეცნობით ფოთში სამელიორაციო სადგურის მუშაობას".

ჩინეთის რესპუბლიკის 27 წლისთავი

ხანკოუ, 13 ოქტომბერი (საკდესა). ჩინეთის რესპუბლიკის 27 წლისთავი აღინიშნება იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ჩინელი ხალხის გააფთრებული ბრძოლის პირობებში. წლისთავთან დაკავშირებით, ჩინეთის მრავალმა პოლიტიკურმა და სამხედრო ლიდერმა მოწოდებით მიმართა ჩინელ ხალხს. ჩან კაი-ში თავის მიმართვაში მოუწოდებს ხალხს კიდევ უფრო მეტი სიმტკიცე გამოიჩინონ იაპონიის მილიტარისტებთან ბრძოლაში, რათა მიღწეულ იქნას საბოლოო გამარჯვება. სუნ ძინ-ლინმაც (სუნ-იატ-სენის ქვრივმა) აგრეთვე მიმართა მოწოდებით ჩინელ ხალხს. ჩინეთის ქალის როლის შესახებ ლაპარაკის დროს მან განაცხადა: „ნაციონალური განთავისუფლების გარეშე შეუძლებელია ქალის განთავისუფლება. მე იმედი მაქვს, რომ ჩინელი ქალები მთავრობას გააძლიერებენ ომში, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ ქმრებს, ძმებსა და ოჯახების წევრებს დაუბრუნდებიან სამუშაოდ".

პროცესი ტროცკისტულ ჯაშუშთა საქმის გამო ესპანეთში

ბარსელონა, 14 ოქტომბერი (საკდესი). „პოუმის" ტროცკისტული ორგანიზაციის საქმის გამო გამართულ პროცესზე 12 და 13 ოქტომბერს სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებულებს, თანდათანობით გამოამჟღავნა ამ ტროცკისტულ-ჯაშუშური ბანდის მეთაურთა საზიზღარი ბოროტმოქმედებანი. ბრალდებული ხულიან გორკინი, „პოუმის" ერთერთი მთავარი ორგანიზატორი და ამ ჯაშუშური ბუდის ხელმძღვანელი მისი წარმოშობის პირველსავე დღიდან, რომელიც მხილებულ იქნა ფაქტებითა და საბუთებით, იძულებული შეიქნა გამოტეხილიყო, რომ „პოუმი" ამზადებდა და ხელმძღვანელობდა კატალონიის პუტჩის ცდას 1937 წლის მაისში, რომელიც მიმართული იყო რესპუბლიკის მთავრობისა და სახალხო ფრონტის წინააღმდეგ. ბრალდებულმა აგრეთვე აღიარა, რომ „პოუმი" ფართო სუბსიდიებით სარგებლობდა ფაშისტური იტალიისა და გერმანიის მხრივ. ბრალდებულმა ანტისაბჭოთა ცილისწამებლური კამპანია გააჩაღეს იმ მომენტში, როდესაც სსრ კავშირმა ყველასათვის გასაგონად განაცხადა, რომ იგი მზად არის ყოველ პირობებში აღმოუჩინოს ჩეხოსლოვაკიას საჭირო დახმარება ფაშისტური აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. მიზანი ანტისაბჭოთა კამპანიისა, რომელსაც ამჟამად აჩაღებენ არა მარტო ჰებერსი, არამედ ყველა მისი თანაშემწეც სხვა ქვეყნებში, იმაში მდგომარეობს, რომ შეეცადნენ დაჰფარონ ამ კამპანიით დანაშაული, რაც ჩადენილ იქნა მიუნხენში ჩეხოსლოვაკიის მიმართ".

სუბტროპიკულ კულტურათა შემდგომი აღმავლობისათვის

საუბარი აკადემიკოს ვავილოვთან

(ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

გათუმი, 15 ოქტომბერი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის პლენუმის გახსნის წინ აკადემიკოსებმა **ვავილოვმა, რიხტერმა, შმუცმა,** პროფესორმა **პოპოვმა,** სექციის სწავლულმა მდივანმა **ნიკიტინმა** და სხვა მეცნიერმა მუშაკებმა **ბათუმის** ბოტანიკურ ბაღში დაათვალიერეს ქინაქინის მცენარეები და ადგილობრივ მეცნიერულ მუშაკებს მისცეს მთელი რიგი პრაქტიკული მითითებები.

თქვენს თანამშრომელთან საუბარში აკადემიკოსმა ვავილოვმა განაცხადა შემდეგი: „ქინაქინის მცენარეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აღმოეჩინა შესაფერისი ყურადღება და მზრუნველობა. ამჟამად აფხაზეთსა და აჭარაში 2.75 ჰექტარზე არის 200.000 ძირზე მეტი ქინაქინის ხე, რაც წელს მოგვცემს რამდენიმე ათეულ კილოგრამ ქინაქინას. ჩვენში უკვე მოხერხდა ნატურალური ქინაქინის მიღება, რომელიც არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთულს; ვინაიდან ქინაქინის მცენარე ალკოლოიდებს აგროვებს ფოთოლში, ყლორტებსა და ძირებშიაც, ამიტომ ვამჯობინეთ მცენარის გამოხდა ასე, როგორც გერანის მცენარისა. ქინაქინას უმთავრესად ვამრავლებთ კალმებით, ყლორტების დაფესვიანებით. მცენარე ჭინის ალკოლოიდებს ორ პროცენტამდე შეიცავს, სწრაფად იზრდება და დიდშემოსავლიანია.

წელს აფხაზეთში არსდება ქინაქინის სპეციალური საბჭოთა მეურნეობა. ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა აჭარმიწსახკომის საკავშირო წამლეულ მცენარეთა ინსტიტუტს მისცა 50.000 მცენარე, მზად არის კიდევ 10.000. მომავალში მას კოლმეურნეობებშიაც გააშენებენ. საბჭოთა, საკუთარი ქინაქინის მიღების პრობლემა გადაჭრილია.

აფხაზეთმა შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა

ტელეგრაფით „კომუნისტის რედაქციას

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის დაწესებული წლიური გეგმა 3.460 ტონის რაოდენობით. 15 ოქტომბრისათვის ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდათ 3.484 ტონა ფოთოლი, გეგმა შესრულებულია 100,7 პროცენტით. ოქტომბრის დამატებითი გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად ჩაის კრეფა-დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი კ. ბებუთაია
აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ა. რაფავა

ჩაქვმა შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა

ჩაქვი, ტელეგრაფით, 15 ოქტომბერი. ჭობუეთის რაიონის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 1.664.480 კილოგრამი ფოთოლი, ნაცვლად 1.660.000 კილოგრამისა,—გეგმა შესრულებულია 100.2 პროცენტით.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. თოხაძე

ხასანის ზღვის რაიონში მომხდარი ბრძოლების მონაწილის შეხვედრა თავის თანასოფლელებთან

კუიბიშევი, 13 ოქტომბერი (საკდესი). ნოვო - დევიჩენსკის რაიონის, სოფელ კუმკინოს მშრომელები ალტაცებით შეხვდნენ შვებულებაში მოსულ თანასოფლელს თეორე ტელეპეგინს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ხასანის ტბის რაიონში მომხდარ ბრძოლებში. კრებას 500-ზე მეტი კაცი დაესწრო. დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი ამ. ტელეპეგინის ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ გაახდინეს გერმანიის სახელოვანმა არმიის ბრძოლებმა და მეთაურებმა იაპონელი სამურაები, რომელთაც ხელჰყვეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრები.

— ორი ჭრილობა მივიღე, — განაცხადა ამხ. ტელეპეგინმა, — მაგრამ მე განვაგრძობდი იაპონელი ბანდიტების ხოცვას. მხოლოდ მესამე ჭრილობის შემდეგ გავხდი იძულებული დამეტოვებინა ბრძოლის ველი.

შვეიცარული გაზეთი ამხ. მაისკის პროფესჭის შესახებ

ჟენევა, 14 ოქტომბერი (საკდესი). უკეთებს რა კომენტარიას სსრ კავშირის ლონდონელი ელჩის ამხ. მაისკის პროტესტს იმ ჰორების წინააღმდეგ, რომლებიც ლორდმა უინტერტონმა დაუშვა მის მიერ შორჰემში წარმოთქმულ სიტყვაში ბაზელის გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგი" სწერს: „საგულისხმოა, რომ საყველურს საბჭოთა კავშირის მიმართ სწორედ ისინი გამოსთქვამენ, ვინც საკუთარი გაუბედაობით დაბლა დასცა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ნებისყოფას თავიდაცვის საქმეში. ამ საყველურების აბსურდობა იქიდან სჩანს, რომ ფაშისტთა მთავრობებმა ანტისაბჭოთა ცილისწამებლური კამპანია გააჩაღეს იმ მომენტში, როდესაც სსრ კავშირმა თავად მისამე სახელმწიფოს დაუდასტურა ერთგულება ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთის შორის გამოიწვია პოლონეთში მწვავე რეაქცია. ეშინიათ რა, რომ ჩეხოსლოვაკია-უნგრეთის ურთიერთობათა შესახებ საკითხის დაყენების შემთხვევაში 4 ხელმწიფოს განსახილველად, გერმანია გადასწყვეტს ამ საკითხს მხოლოდდამხოლოდ თავის ინტერესების მიხედვით, პოლონეთის დიპლომატიამ მთელი რიგი ფარული ნაბიჯები გადადგა, რომ გამოვიდეს ამ საქმეში როგორც შუამავალი. პოლონეთის დავიწყებათა საარქივში იუწყება, რომ ამ მიზნით ვარშავაში მოელიან სლოვაკელი ფაშისტების ლიდერის — სიდორას ჩამოსვლას.

წერილი ინტერნაციონალური ბრიგადების ვებრძოლებისადმი

პარიზი, 14 ოქტომბერი (საკდესი). ესპანის საავგენტო იუწყება, რომ ესპანეთის სახალხო ფრონტის ნაციონალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული წერილით მიმართა ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლთ, რომელნიც განთავისუფლებულნი არიან რესპუბლიკური არმიიდან, „უცხოელთა ბრიგადების მოხალისენი, — ნათქვამია წერილში, —ესპანელთა გულში წარუშლელ ხსოვნას დასტოვებენ. ემორჩილებოდით რა ერთსადაიმავე იდეალს, თქვენ ნებაყოფლობით ჩამოხვედით სხვადასხვა ქვეყნებიდან. თქვენ მოხვედით ესპანეთის ხალხის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის დასაცავად იმ მომენტში, როდესაც თქვენ სტოვებთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენ ალვითქვამთ, რომ სახალხო ფრონტის ესპანეთი შესძლებს დაცვას ის საქმე, რომლისთვისაც თქვენთან ერთად იბრძოდა ორი წლის განმავლობაში".

სენატის არჩევნების დანიშვნა საფრანგეთში

პარიზი, 14 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის სენატის არჩევნები დანიშნულია 23 ოქტომბრისათვის.

საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, სენატორები 9 წლის ვადით უნდა იქნან არჩეულნი, ამასთანავე 314 სენატორის საერთო შემადგენლობიდან მესამედი გადარჩეულ უნდა იქნეს ყოველ 3 წელში ერთხელ. მომდინარე წელს სენატის არჩევნები ჩატარდება 30 დეპარტამენტში (პირველებში, ალფაბეტის მიხედვით) სულ არჩეული იქნება 97 სენატორი.

იმ სენატორთა შორის, რომელთა წარმოუნების ვადა მომდინარე წელს თავდება, არის მთელი რიგი ფრიად გამორჩეული მოღვაწეებისა: შინაგან საქმეთა მინისტრი ალბერ სარო, მიწათმოქმედების მინისტრი ანრი კეი, ფინანსთა ყოფილი მინისტრი მარსელ რენიე, საგარეო საქმეთა სენატის კომისიის თავმჯდომარე ანრი ბერანჟე და სხვ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

პოლონეთი და უნგრეთ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკება

ვარშავა, 15 ოქტომბერი (საკდესი). მოლაპარაკების შეწყვეტამ ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთს შორის გამოიწვია პოლონეთში მწვავე რეაქცია. ეშინიათ რა, რომ ჩეხოსლოვაკია-უნგრეთის ურთიერთობათა შესახებ საკითხის დაყენების შემთხვევაში 4 ხელმწიფოს განსახილველად, გერმანია გადასწყვეტს ამ საკითხს მხოლოდდამხოლოდ თავის ინტერესების მიხედვით, პოლონეთის დიპლომატიამ მთელი რიგი ფარული ნაბიჯები გადადგა, რომ გამოვიდეს ამ საქმეში როგორც შუამავალი. პოლონეთის დავიწყებათა საარქივში იუწყება, რომ ამ მიზნით ვარშავაში მოელიან სლოვაკელი ფაშისტების ლიდერის — სიდორას ჩამოსვლას.

პარიზი, 15 ოქტომბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთს შორის კომარნოში მოლაპარაკების შეწყვეტასთან დაკავშირებით, სლოვაკიის ავტონომიური მთავრობის ერთერთმა წევრმა დურჩანსკიმ ჯანუსცხადა ბრატისლავაში ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტს შემდეგი: „სანამ გადავსცემდეთ პრობლემას გადაწყვეტას სახელმწიფოებს მათი შეხედულებისამებრ, ჩვენ შევეცდებით ისევ განვაახლოთ პირდაპირი მოლაპარაკება უნგრეთთან. გამორიცხული არ არის, რომ ჩვენ მივმართებით თავთ მესამე სახელმწიფოს და ვთხოვთ მას გამოვიდეს შუამავლის როლში ჩვენ შორის". დურჩანსკის სიტყვით ვარშავაში მალე გაემგზავრება სიდორი (პოლონეთის ფაშისტის აგენტი ჩეხოსლოვაკიაში), „სადაც ის შესაძლოა გამართავს მოლაპარაკებას ამის გამო".

„ახლანდელი მდგომარეობა, — განაცხადა შემდეგ დურჩანსკიმ, — შემდეგნაირად გვეხატება: უნგრეთის დელეგაციამ წარმოადგინა გეგმა, რომლის თანახმად სლოვაკიას უნდა დაეთმო თავის ტერიტორიის 11.268 კვადრატული კილომეტრი 1.120 ათასი სულით. იმიერ-კარპატების უკრაინას უნდა მიეცა უნგრეთისათვის ამ გეგმით 1.982 კვადრატული კილომეტრი 218 ათასი სულით. ამრიგად გადასცემდნენ რა უნგრეთს 670 ათას უნგრელს, სლოვაკია და იმიერ-კარპატების უკრაინა თავის მხრივ დაჰკარგავდნენ 650 ათასზე მეტ სლოვაკელს.

სლოვაკიის დელეგაციამ წინადადება მისცა დაუთმოს უნგრეთს 5.784 კვ. კილომეტრი 395 ათასი სულით, რომელთა შორის 45 ათასი სლოვაკელია.

უნგრეთის დელეგაციამ უარი განაცხადა აწარმოოს ამ საფუძველზე მოლაპარაკება.

ბ. კიკნაძე — საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი.

ისტორიული დეკრეტის 20 წლისთავი

დეკრეტი და დებულება „მთლიანი შრომის სკოლის შესახებ", რომელიც 1918 წლის 16 ოქტომბერს გამოქვეყნდა, წარმოადგენს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს სახალხო განათლების განვითარების საქმეში.

ამ დეკრეტში ხორცშესხმულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც შეიცავს მარქს - ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრება მოზარდი თაობის აღზრდის დარგში, მარქსისტულ - ლენინური პედაგოგიკის დარგში.

დეკლარაციამ და დეკრეტმა „მთლიანი შრომის სკოლის შესახებ" მოგვცეს ძირითადი მიზანდასახულობა და გეზი საბჭოთა სკოლის მშენებლობის საქმეში.

ამ დეკრეტის უდიდესი მნიშვნელობის შესაფასებლად საჭიროა ნათელი წარმოდგენა გვქონდეს იმაზე, თუ რას წარმოადგენდა სკოლა ოქტომბრის რევოლუციამდე.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ახალისებდა რა სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკას იმპერიალისტური ომის წინ, ამბობდა, რომ ისეთი ველური ქვეყანა, რომელშიაც ხალხის მასა ამდენად გაძარცული ყოფილიყო განათლების მხრივ, ევროპაში არცერთი არ დარჩენილა, გარდა რუსეთისა. ახალგაზრდა თაობის $^4/_5$ მეფის რუსეთის ბატონყმური სახელმწიფოს მიერ განწირული იყო წერა-კითხვის უცოდინარობისათვის. ნაციონალური უმცირესობებით დასახლებული ვებერთელა მხარეები მოკლებული იყვნენ რაიმე სკოლას. წერა-კითხვის მცოდნეობის პროცენტი აღმოსავლეთის — ბაშკირეთის, იაკუტიის, ტაჯიკისტანის ნაციონალურ უმცირესობებში ძლივს აღწევდა 2-3-ს.

რაც შეეხება სკოლის ხარისხობრივ მხარეს, ის მკაფიოდ დაახასიათა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა კომკავშირის მესამე ყრილობაზე, ძველი სკოლა ზეპირობის სკოლა იყო. იგი აიძულებდა ახალგაზრდებს შეეთვისებინათ სრულიად ზედმეტი, მკვდარი ცოდნა. ძველი სკოლის მთელ შინაარსს შეადგენდა ველიკორუსული შოვინიზმი, საეკლესიო დოგმები, ფორმალიზმი, სქოლასტიკური სწავლება, ცხოვრებასთან რაიმე კავშირის გარეშე, მექანიკური დაზეპირება. ასეთი იყო სკოლა თებერვლის რევოლუციამდე, ასეთივე დარჩა იგი თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდშიაც.

თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს სკოლის მძიმე მდგომარეობის შესახებ ლაპარაკია სტატიაში, რომელიც მოთავსებული იყო ოქტომბრის რევოლუციის წინა დღეებში ყურნალ „უჩიტელში". სტატიაში ნათქვამია: „არ არის სახელმძღვანელოები, არ არის სასწავლო ხელსაწყოები, არ არის წიგნები, ბაზრიდან გაჰქრნენ კლასიკოსები — ერთად ერთი ჩვენი კულტურული მეშვეიდრეობა, სკოლები 3 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ლაზარეთებს უჭირავს, მასწავლებელთა ნაწილი სანგრებშია, ნაწილმა შიმშილით გონება დაჰკარგა, ბავშვებმა ამ პერიოდის განმავლობაში საბოლოოდ გახულიგნება მოასწრეს".

მხოლოდ ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ შესძლო გამოეყვანა სკოლა და სახალხო განათლების საქმე კატასტროფის განვითარების ისტორიაში უმაგალითო გზაზე.

გეზი და ძირითადი დებულებანი სახალხო განათლებისათვის მოცემული იყო მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე.

დიდმა სტალინმა 1913 წელს სტატიაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" მოგვცა მითითება, თუ როგორ უნდა გამეფოთ კულტურა რუსეთის ეროვნულ უმცირესობათა მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მიმართ.

დეკრეტი „მთლიანი შრომის სკოლის შესახებ" ასახავდა მარქსიზმის ფუძემდებელთა დიად იდეებს, ამ დეკრეტმა პრინციპულად განსაზღვრა საბჭოთა სკოლის ფორმა და შინაარსი. პირველ რიგში საჭირო იყო სახალხო განათლების სისტემაში მოგვესპო მრავალტიპიანობა, რომელიც შეჰქმნა ბურჟუაზიამ, რათა განათლების გზა დაეზომ მშრომელთა ახალი თაობისათვის.

საჭირო იყო სკოლის ერთიანი სისტემის შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მშრომელთა ყველა ბავშვების სკოლაში ჩაბმას, სათვის დაბრკოლებათა აღმოფხვრას. დეკრეტის პირველი პუნქტის შენიშვნაში ამის შესახებ ნათქვამია: „სკოლის დაყოფა დაწყებითს, უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებად, გიმნაზიებად, რეალურ სასწავლებლებად, სახელოსნო სასწავლებლებად, ტექნიკურ და კომერციულ სასწავლებლებად და დაბალი და საშუალო სკოლის ყველა სხვა სახე უქმდება". ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი, ბურჟუაზიისათვის გათვალისწინებული სკოლების ნაცვლად იქმნება „მთლიანი შრომის სკოლა".

დეკრეტი „მთლიანი შრომის სკოლის შესახებ" ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისშივე სამოქალაქო ომის ცეცხლში, აცხადებს დიად იდეას კაცობრიობის კულტურის განვითარების საქმეში—უფასო საყოველთაო განათლებას. მე-4 მუხლში ნათქვამია: „I და II საფეხურის სკოლებში სავალდებულოა სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისათვის". ამ ღონისძიების პრაქტიკულად გატარებისათვის დეკრეტი წინადადებას აძლევს სახალხო განათლების განყოფილებებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ სასკოლო ქსელის გეგმის შემუშავებას, სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის აღრიცხვას 6-დან 16 წლამდე, აგრეთვე სკოლების აგებისა და მოწყობის, პირადი შემადგენლობის შენახვის ხარჯთაღრიცხვების, ბავშვთა კვებითა და ფეხსაცმლით, ტანისამოსითა და სასწავლო ხელსაწყოებით მომარაგების ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვების შედგენას. ითვალისწინებდა რა იმ უდიდეს სიძნელეებს, რომლებიც შეექმნა იმპერიალისტური ომის, დროებითი მთავრობის გამანადგურებელი პოლიტიკისა და ინტერვენციების შედეგად, დეკრეტმა საყოველთაოდ დასახა საყოველთაო სწავლების გატარება ყველგან, სადაც სკოლების რაოდენობა საკმარისი იყო ბავშვთა მთელი რაოდენობის მომსახურებისათვის და სადაც განათლების ხელმისაწვდომობის პირობები არსებობდა.

კომუნისტური პარტიის უდიდესმა მზრუნველობამ მასების განათლებისათვის ოქტომბრის დიდი რევოლუციის დასაწყისშივე თავი იჩინა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთელ რიგ ღონისძიებებში, კერძოდ, დეკრეტში „მთლიანი შრომის სკოლის შესახებ". დეკრეტში ნათქვამი იყო: „წერა-კითხვის უცოდინარი იმ ბავშვებისათვის, რომლებიც თავისი წლოვანების არ შეიძლება მიღებულ იქნან საერთო ტიპის სკოლებში, უნდა მოეწყოს ან განსაკუთრებული მეცადინეობა მთლიან შრომის სკოლასთან, ან განსაკუთრებული მეცადინეობა სკოლის გარეთ".

დეკლარაციაში კატეგორიული ფორმით იყო ნათქვამი: „სკოლაში რაიმე სარწმუნოების სწავლება და კულტის წესჩვეულებათა შესრულება დაუშვებელია". ამით საბჭოთა სკოლამ ბოლო მოუღო მოზარდი თაობის გაბრუებას რელიგიით.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა ბავშვებს ნამდვილი საერო განათლება. ყველა პროგრამა და სასწავლო გეგმა გადამუშავებულ იქნა დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე და გაიწმინდა იდეალისტური ანტიმეცნიერული რელიგიური ნაგავისაგან.

დეკრეტის მე-5 მუხლში ლაპარაკია ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლებაზე. მიუხედავად დეკლარაციისა, ბურჟუაზიულ ქვეყნებში ერთად სწავლების იდეა არა თუ არ ხორციელდება, არამედ ამ ბოლო დროსაც, კერძოდ, ფაშისტურ ქვეყნებში გულმოდგინედ ეწევიან ამის საწინააღმდეგო იდეის პროპაგანდას. ფაშისტურ გერმანიაში პირდაპირ კრძალავენ ერთად სწავლებას და საერთოდ ზღუდავენ ქალთა განათლებას.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გახდა შესაძლებელი ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ინტენსიური განვითარება. რუსეთის თვითმპყრობელობის კოლონიურ-მტაცებლური პოლიტიკა ყოველნაირად აფერხებდა კოლონიური ქვეყნების ნაციონალურ კულტურულ განვითარებას. თავის სტატიაში „ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება". ამხანაგმა ლ. ჰ. ბერიამ, ახასიათებდა რა მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკას სახალხო განათლების დარგში, მოიყვანა საინტერესო ციფრები ამ საკითხზე. 4.670.000 მანეთ საერთო საერობო ხარჯებიდ

პარტიული ცხოვრება

პარჭკაბინეტმა გააუმჯობესა მუშაობა

თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ამხ. გიორგაძე) საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ღრმად შესწავლისათვის მოსამზადებელი მუშაობა პროპაგანდისტების მომზადებით დაიწყო.

ღია პარტიულ კრებაზე მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივნის ამხ. ვ. სიხარულიძის მოხსენება პარტისტორიის მოკლე კურსის შესწავლისათვის მზადების საკითხებზე. კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებები.

გაზ. „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ პარტკაბინეტის მუშაობაც გაუმჯობესდა. ამჟამად პარტკაბინეტი 90 პროპაგანდისტს, აგიტატორს და აქტივისტს უწევს მომსახურებას. უკვე მოწყობილია გამოფენა, შეძენილია ალბომები, რუკები და სხვ.

პარტიული კაბინეტი აგიტატორებისათვის ატარებს სემინარს. დღემდის ჩატარებულია 3 სემინარი. პარტიის ისტორიის წრის პროპაგანდისტებისათვის კი დღემდე არ ჩატარებულა სემინარი და კონსულტაციები.

პარტკომმა პროპაგანდისტების შერჩევის საქმეს მეტად სერიოზულად მოჰკიდა ხელი. პარტისტორიის ახალი კურსის სწავლებასთან დაკავშირებით პარტისტორიის წრის პროპაგანდისტად დაწინაურებულ იქნა ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ამხ. ბიძინა ჯიქია. ამხ. ჯიქია გულმოდგინედ და თანამიმდევრობით სწავლობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს. ენერგიულად მუშაობენ აგრეთვე პროპაგანდისტები: ტოკარევი, კლიჯიანი, გოგიტიძე და სხვები.

პარტიის წევრი გარეგინ მაჩკალოვი უკვე გაეცნო პარტისტორიის მოკლე კურსის პირველ ორ თავს, მას ყველა გაზეთები და საჭირო ლიტერატურაც ხელთ აქვს.

ზოგიერთი საამქროს პარტჯგუფორგი დღემდე უმოქმედობას იჩენს და ვერ აფასებს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის წინასწარ გაცნობის მნიშვნელობას. მაგალითად, საგამომშრელო საამქროში (პარტჯგუფორგი ამხ. მჭედლიშვილი) დღემდე არაფერი არ გაკეთებულა ამ მხრივ. აქ კომუნისტების უმრავლესობას გაზეთებიც კი არა აქვს. პარტკანდიდატი ამხ. შ. ნატროშვილი პარტისტორიის მოკლე კურსის არცერთ თავს არ გასცნობია. უკეთესი მდგომარეობა არც პირველ კორპუსშია.

პარტკომმა კიდევ უფრო ენერგიულად უნდა მოჰკიდოს ხელი პარტისტორიის მოკლე კურსის ღრმად შესწავლის საქმეს, რათა დარჩენილი დრო მთლიანად მოახმაროს პროპაგანდისტების მომზადებას და კომუნისტების მიერ მოკლე კურსის წინასწარ გაცნობას.

ზრ. ნანეიშვილი.

აქტივი სწავლობს საერთაშორისო საკითხებს

სოხუმი, 15 ოქტომბერი (საქ-სი). ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის სტალინური სახელმძღვანელოს საფუძველიანად შესწავლისათვის სოხუმის რაიონულმა პარტიული განათლების სახლმა ფართოდ გაშალა მოსამზადებელი მუშაობა.

პარტიული განათლების სახლთან ჩამოყალიბებულია რაიპარტაქტივის კურსები, არსებობს აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი 2 პროპსემინარი. ამას გარდა, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისა და მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე პარტგანათლების სახლში ყოველდღე სწარმოებს ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები.

აქტივი დიდი ინტერესით ისმენს მოხსენებებს საერთაშორისო საკითხებზე. კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებები.

ამჟამად პარტგანათლების სახლი ემზადება ადგილებზე თეორიული კონფერენციების ჩასატარებლად თემაზე—იაპონიის აგრესია შორეულ აღმოსავლეთში—ომი ჩინეთთან.

ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის გამოცემანი

მილიონობით ხელნაწერი ფურცლები ინახება ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო ბიბლიოთეკაში. უმშვიათეს საბუთებში აღებეჭდილია სლავიანთა და სხვა ხალხთა დამწერლობის ათასწლოვანი ისტორია.

ბიბლიოთეკაში დაცული განძეულის საბჭოთა მკითხველებისათვის ფართო გასაცნობად შემდინარე წელს პირველად მოეწყო „ხელნაწერების განყოფილების უწყებათა“ გამოცემა. ამჟამად მზადდება დასაბეჭდად ამ გამოცემის რამდენიმე ნომერი. ერთი მათგანი მიეძღვნება ლ. ნ. ტოლსტოის. კრებულში მოთავსებული იქნება მწერლების გამოუქვეყნებელი წერილები, ოფიციალური საბუთები, რომლებიც ეხებიან სევასტოპოლში ტოლსტოის ცხოვრების დროს, აქამდე გამოუქვეყნებელი „ვეჩერნიე პოვესტი“, „აღდგომის“ ვარიანტები და სხვა მასალები.

ტ. გ. შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავისათვის, რომელიც 1941 წელს სრულდება, მზადდება კრებული. გამოქვეყნებულ იქნება საშინდრო სასამართლოს საქმე ლერმონტოვის დუელისა და სიკვდილის შესახებ. ამას გარდა, გამოქვეყნდება გამოძახილები ლერმონტოვის სიკვდილის გამო და პოეტის ნაწარმოებთა ხელნაწერები, რომლებიც ნაპოვნია მის თანამედროვეთა არქივებში. კრებულში მოთავსებული იქნება ლერმონტოვის სურათები. (საკდესი).



თბილისში მიღებულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სახელმძღვანელო, რომელიც არაჩვეულებრივი სისწრაფით სალდება. კერძოდ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკაბინეტმა მიიღო სახელმძღვანელოს 700 ეგზემპლარი, რომელიც მყისვე გასაღდა.

სურათზე: მუშათა ჯგუფი ეცნობა პარტკაბინეტში ახალ სახელმძღვანელოს.

ფოტო ი. ბუდუშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

მოუფიქრებულად გავანაწილოთ პარჭიული დავალებები

ყველგან როდია აღმოფხვრილი ფორმალიზმის ელემენტები პარტიულ მუშაობაში. აქა-იქ ვხვდებით ქაზიონურ დამოკიდებულებას პარტიული დავალებების შესრულებისადმი, როგორც ზედმეტი ტვირთისადმი. ასეა, მაგალითად, თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციაში (პარტკომის მდივანი —პ. ძურძუკი), სადაც 30 კომუნისტი ირიცხება, აქ რატომღაც ყველას არა აქვს მიცემული პარტიული დავალება. არიან ამხანაგები, რომლებიც არა თუ არ ასრულებენ პარტიულ დავალებას, არამედ სრულიად მოწყვეტილიც არიან პარტიულ ცხოვრებას. ამხ. გ. პეპელაშვილი სრულიად მოწყვეტილია პარტიულ პრაქტიკულ მუშაობას. პარტიის რიგებში ახლად მიღებული სტახანოველი მ. მემანიშვილი პარტიულმა კომიტეტმა სრულებით დაივიწყა. მემანიშვილს არ ახსოვს არცერთი შემთხვევა, რომ პარტიულ კომიტეტს მისთვის რაიმე დავალება მიეცეს.

ასეთივე სურათია პარტიული დავალებების განაწილების მხრივ „საქართველოს ჩაის“ და ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტებთან არსებულ პარტიულ ორგანიზაციაში (პარტკომის მდივანი — მ. ასათიანი). აქ პარტიის წევრ-კანდიდატთა თითქმის უმრავლესობას მიცემული აქვს პარტიული დავალებები, მაგრამ ბევრი კეთილსინდისიერად არ ასრულებს ამ დავალებებს, ხოლო არც პარტიული კომიტეტის მდივანი იწუხებს თავს შესრულების სისტემატური შემოწმებით.

კიდევ მეტი — ამ ორგანიზაციაში დავალება არა აქვთ მიცემული პარტიის წევრებსა და კანდიდატებს: მ. თოფჩიანს, რაზმაძეს, ი. სოლოვიოვს, პარტწევრობის კანდიდატ სუსანა ბიპერს და სხვ.

არც საქმიწსახკომის პარტიულ ორგანიზაციაშია ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა. აქ კომუნისტთა საკმაო ნაწილი გამოყენებულია პროპაგანდისტებად, აგიტატორებად და მესაუბრე - წამკითხველებად, მაგრამ კომუნისტთა ერთი ნაწილი სრულიად ჩამოშორებულია პარტიულ მუშაობას. მაგალითად, ე. ანკიევას, ლ. ინასარიძეს, ვ. ყიფიანს, ს. ზერეკიძეს, პარტ - კანდიდატებს: გ. მიკირტუმოვს, ი. სხირტლაძეს, თანამგრძნობებს: ა. თოფურიას, ზ. მგალობლიშვილს, ე. ალავიძეს და სხვებს ჯერ არცერთი პარტიული დავალება არა აქვთ.—მიწსახკომის აპარატის მუშაკები არიან, 3 და 6 თვით მივლინებაში დაიარებიან, როგორ შეიძლია მათ დავალება მიეცეთ, — აცხადებს პარტკომის მდივანი. განა მუშაობის სპეციფიკა ან მივლინება ხელს უშლის კომუნისტს, მისთვის შესაფერისი პარტიული დავალება შეასრულოს? რასაკვირველია, არა. საჭიროა პარტკომის მეტი გულისხმიერება ცალკეული კომუნისტების მიმართ.

ბევრი კომუნისტი სერიოზულად არ ეკიდება პარტიული დავალების შესრულებას. მაგალითად, ს. უზნაძე (საქ. სოფ. მომარაგების რესპუბლიკური ბაზის დირექტორის მოადგილე) პირველადი პარტიული ორგანიზაციის დავალებას რატომღაც გაურბის. „არაფერი არ არის ისე უცხო ბოლშევიზმისათვის, — სწერდა „პრავდა“ 1938 წ. 16 ივნისის მოწინავეში, — როგორც ფორმალური, კაზიონური დამოკიდებულება პარტიული მოვალეობისადმი, მინდობილობებისადმი, დავალებებისადმი“.

პარტიულ დავალებათა შესრულებისადმი ფორმალურ-უსულგულო მიდგომის ასეთ მაგალითებს უპირისპირდება იმ უამრავი პარტიული ორგანიზაციების უმდიდრესი გამოცდილება, რომლებმაც საანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ ენტუზიაზმით მოჰკიდეს ხელი საქმეს.

ამ მხრივ საინტერესოა თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის (პარტკომის მდივანი — ე. ძნელაძე) გამოცდილება. ამ ფაბრიკაში საკ. კ. პ. (ბ) 83 წევრი, 67 კანდიდატი და 103 თანამგრძნობი ირიცხება. პარტიული კომიტეტის მიერ ყველა ისინი ჩაბმულნი არიან პარტიულ ცხოვრებაში. პარტკომის მდივანი კარგად იცნობს ცალკეულ კომუნისტებს, მოფიქრებულად ანაწილებს მათ შორის პარტიულ დავალებებს და ცალკეული ბრიგადების, საამქროს პარტჯგუფორგების საშუალებით აწარმოებს დავალებათა შესრულების სისტემატურ აღრიცხვას. ასეთი მუშაობით აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიული მუშაობის ცოტა აქტივისტი როდი გამოავლინა, რომელთაც საქმით დაუმტკიცეს პარტიას თავისი უსაზღვრო ერთგულება. მაგალითად, პარტწევრობის კანდიდატი ე. ზამთარაძე, ცვლის სტახანოველი ალისტატი, მოსამზადებელი საამქროს მოწინავე აგიტატორი გახლა. თანამგრძნობები — ანიკო მამაჯანოვი, ნადია დიდებულიძე, გალინა ფოფხაძე და სხვები საუკეთესო აგიტატორები არიან.

პარტიული ორგანიზაციის ასეთი ყოველდღიური ხელმძღვანელობა პარტიის წევრობის კანდიდატებისა და თანამგრძნობებისადმი, არა მარტო ზრდის ადამიანებს კულტურულად, არამედ იდეურადაც აიარაღებს მათ.

ნ. კილასონია

უფრო გაბედულად დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას

ასიათასობით პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები უკვე შეუდგნენ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის შესწავლას. ლენინ-სტალინის პარტიის გმირული ისტორიის შესწავლა დახმარებას გაუწევს ჩვენს კადრებს დაეუფლონ ბოლშევიზმს, ამამაღლებს მათს პოლიტიკურ სიფხიზლეს, შეაიარაღებს საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნით, პოვოლუციის მამოძრავებელ ძალთა ცოდნით.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორია აჯამებს მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლების დამხობისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ლენინ-სტალინის პარტიის ბრძოლის კოლოსალური გამოცდილებას. ისტორიული ფაქტების საფუძველზე ბრწყინვალედ დასტურდება მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიის სისწორე, ყველაზე მოწინავე, სასიცოცხლო თეორიისა, რომელიც მუდამ ვითარდება, სრულყოფილი ხდება, მდიდრდება ახალი გამოცდილებით, ახალი ცოდნით, თეორიისა, რომელიც საბრძოლო სახელმძღვანელოს წარმოადგენს მოქმედებისათვის.

„მარქსისტულ - ლენინური თეორიის ძალა, — ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში, — მდგომარეობს იმაში, რომ იგი აძლევს პარტიას შესაძლებლობას გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, წინასწარ განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა და გამოიცნოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში.

მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც დაეუფლა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, შეუძლია იმოძრაოს წინ მტკიცე რწმენით და წაიყვანოს წინ მუშათა კლასი“.

ხელმძღვანელი მუშაკი, რომელმაც არ იცის თეორია, იძულებულია, როგორც ბრმამ, გზააბნეულად დაიაროს, ჰკარგავს პერსპექტივას, უმაღლეს სასწავლებელთა მესმენელებისთვის, რომლებიც ჩვენს ხელმძღვანელ კადრებად უნდა გადაიქცნენ.

მარქსისტულ - ლენინური პარტიის თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენენ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი. ამ საფუძვლების შეთვისება ჩვენი პარტიის თვითეული აქტიური მოღვაწის მოვალეობაა.

ზოგიერთ ადამიანს ჰგონია, თითქოს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლება მეტისმეტად ძნელია და ყველას არ ძალუძს. ეს არ არის მართალი! თეორიისა არ უნდა გვეშინოდეს, თეორიის ცოდნა შეძენის საქმეა. ხომ შესძლეს ჩვენმა ძველმა ბოლშევიკებმა დაუფლებოდნენ თეორიას, და არა მარტო დაუფლებოდნენ, არამედ მარჯვედაც გამოეყენებინათ იგი პროლეტარიატის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, თუმცა მათ მუშაობა და სწავლა მოუხდათ არალეგალობაში, გაცილებით უფრო მძიმე პირობებში, ვიდრე ახლანდელ თაობას. ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს დროში შექმნილია ყველა ხელსაყრელი პირობა იმისათვის, რომ განუწყვეტლივ და წარმატებით ვისწავლოთ. ვისაც სწავლა სურს, მის განკარგულებაშია პრესა, წიგნები, მარქსიზმ-ლენინიზმის პირველ - წყაროები, რომლებიც ისეთი ტირაჟებით გამოდის, რაც არასოდეს და არცერთ ქვეყანაში არ ნახულა, ბიბლიოთეკათა ეგებერთელა ქსელი, ლექციების, კონსულტაციების ორგანიზაცია, ყოველგვარი კურსების ქსელი.

ჩვენ მოგვეპოება ყველა პირობა სწავლისათვის. ამოცანა ისაა, რომ ვისწავლოთ წიგნზე მუშაობა ინდივიდუალურად, თვითონ. დიაღ, თვითონ! ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, გატაცებულნი წრეების მოწყობით, ივიწყებდნენ, რომ პროპაგანდის წრეობრივი ფორმა საბჭოთა წყობილების პირობებში არ შეიძლება და არც უნდა იყოს ძირითადი, მთავარი. ისინი გატაცებული იყვნენ მსმენელთა რაოდენობით და ივიწყებდნენ სწავლის ხარისხს. აძალებდნენ რა ესწავლათ იძულებითი წესით, ამით ისინი გულს უცრუებდნენ მსმენელებს, უკარგავდნენ მათ ხალისს დამოუკიდებლად ეშუშავნათ წიგნზე. თავისი პოლიტიკური დონის ამაღლებისთვის, პარტიული ხაზის სწორად გატარებისთვის, ჩვენ ვალდებული ვართ ვისწავლოთ ჩვენ თვითონ, ჩვენ დამოუკიდებლად, ჩვენ ინდივიდუალურად.

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლება ნიშნავს წაკითხულის ბოლომდე გაგებას, მის მოფიქრებას, გააზრებას. არა „დამუშავება“ (ეს გავრცელებული ტერმინი ხშირად გამოხატავს ზერელობას, აჩქარებას, ზედაპირზე სრიალს, საკითხის დედაარსის გაუგებლობას), არამედ წაკითხვა და წაკითხულის სერიოზულად გააზრება — ასეთია ამოცანა. საჭიროა, რათა თვითეულმა საბჭოთა ინტელიგენტმა შეიძინოს სისტემატური კითხვის ხალისი. წაკითხვის მოთხოვნილება სისხლსა და ხორცში უნდა გაუჯდეს მას. ყოველდღიურ ჩვეულებად უნდა გადაექცეს ისე, რომ, გამოტოვებს რა ერთ-ორ დღეს, იგი გრძნობდეს, რომ დღეს გაუკეთებელი დარჩა მნიშვნელოვანი, გადაუდებელი საქმე.

საჭიროა იმგვარად გავანაწილოთ ჩვენი დრო, რომ ყოველდღიურად გამოვუნახოთ საათები თავისთავზე სამუშაოდ. ჩვენში მეტად ბევრი ძვირფასი დრო იხარჯება ფუჭად. ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს ჩვენში, რომ დაიფასონ წუთები, და არა მარტო წუთები, არამედ საათებიც. დროის უსარგებლოდ ხარჯვა, თავისი შრომის ორგანიზების უნარის უქონლობა, საქმიანად მუშაობის უნარის უქონლობა — ეს არის ბოროტება, რომელსაც დროა დაუზოგავი ბრძოლა გამოვუცხადოთ.

თავისთავზე მუშაობა, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება ძალუძს თვითეულ საბჭოთა ინტელიგენტს. ხოლო იმის უდიდესი სარგებლობა კომუნიზმის საქმისთვის, რომ კადრები დაეუფლებიან მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიას,— სავსებით ცხადია.

„მე ვფიქრობ ჩვენ რომ შევძლებდეთ,—ამბობდა ამხანაგი სტალინი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე — ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმგვარად გამოვაწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა სამინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შეეძლებდეთ გავხადოთ ისინი საკუთარ მოწიფებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომელთაც ეჭნებათ უნარი გადა-სჭრან სერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრიდით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრა მეათედს“.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსი ჩვენს კადრებს საბრძოლო თეორიულ იარაღს აძლევს. მაშ, ვისწავლოთ ამ იარაღით სარგებლობა, ვისწავლოთ მისი უნარიანად, შემოქმედებითად გამოყენება, რათა მრავალგზის გავადიდოთ კომუნიზმის წარმატებანი!

„პრავდის“ მოწინავე, 15/X.

მოწინავე სოციალისტურ მიწათმოქმედებას — მრწინავე მეცნიერება

დიადი კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით საქართველოში, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ აყვავებულ რესპუბლიკაში, შექმნილია ოდენობით უდიდესი და შინაარსით მოწინავე სუბტროპიკული მეურნეობა. უდიდესია საბჭოთა კავშირის მიღწევები ჩაისა და სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებაში, რომელიც შეიარაღებულია მოწინავე აგროტექნიკით.

მიმდინარე წლისათვის ჩვენი ჩაის პლანტაციები აღწევენ 43.833 ჰექტარს, მანდარინისა — 7.632,5 ჰექტარს, ლიმონისა — 1.717, ფორთოხლისა—246,5, გრეიპფრუტისა — 116 ჰექტარს.

ჩვენი სამშობლოს საწარმოო ძალთა საუკეთესო გამოყენების ბაზაზე შექმნილია ჩაის მრეწველობა, რომელიც კომპლექსურად არის დაკავშირებული ციტრუსოვან კულტურებთან, ტუნგოსთან და სხვა ძვირფას სუბტროპიკულ მცენარეებთან. ძირფესვიანად გარდაქმნილია სოფლის მეურნეობა, შექმნილია მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედება, რომელსაც პრეცედენტი არა აქვს მსოფლიოში, შეცვლილია კულტურულ მცენარეთა გეოგრაფია, შექმნილია საბჭოთა მეცნიერება სოციალისტური სუბტროპიკული მეურნეობის შესახებ, მეცნიერება, რომელიც შეიარაღებულია მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოწინავე რევოლუციური თეორიით.

საბჭოთა მეცნიერებას სუბტროპიკების შესახებ აქვს განსაკუთრებული მიჩვენებლები სამუშაოთა მასშტაბისა და კაპიტალურ დაბანდებათა დარგში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ბიუჯეტი 1938 წელს შეადგენს 5,5 მილიონ მანეთს, იმ დროს, როდესაც 1915 წელს დასავლეთ - საქართველოს ყველა სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურების ბიუჯეტი უდრიდა 100 ათას მანეთს.

ამჟამად სუბტროპიკული კულტურების საკითხებზე მუშაობს 2 სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, 5 საცდელი სადგური, 20-ზე მეტი დასაყრდენი პუნქტი.

ჩვენი საცდელი-საკვლევო დაწესებულებები, ფაქტების უშუალო ფიქსირებაზე მდებარეობენ, თავის დასკვნებს ამოწმებენ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ათასობით ჰექტარებზე. საბჭოთა მეცნიერების მჭიდრო კავშირი წარმოებასთან, სტახანოველებთან, პლანტაციებისა და ფაბრიკების მოწინავეებთან,—აი ჩვენი წარმატების საფუძველი, ვინაიდან „მეცნიერება, რომელსაც გაუწყვეტია კავშირი პრაქტიკასთან, გამოცდილებასთან—ეს რაღა მეცნიერებაა?“ **(ი. სტალინი).**

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სუბტროპიკული სექციის სესიას, რომელიც 15 ოქტომბერს ბათუმში გაიხსნა, ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული მეურნეობის სრულიად-საკავშირო სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტი (ანასეული) ხვდება მთელი რიგი მიღწევებით.

ჩვენი ბაღების მოსავლიანობის ზრდა, ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გადიდება, აგროტექნიკური ხერხების კომპლექსის დამუშავება და სასუქთა რაციონალური გამოყენება, საჯაშე შემადგენლობის გაუმჯობესება, მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლა, — აი ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის წინაშე დააყენეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ.**

ინსტიტუტს აქვს 4 ფილიალი: სოხუმის (ტენიანი სუბტროპიკების ყოფილი სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი), აზერბაიჯანის (ლენქორანი), ჩაქვისა და ზუგდიდისა. დასაყრდენი პუნქტებია ოჩხამურის, ურეკის, ჯოლეჯიანის, ნარაზენის, წალენჯიხის, კოდორის, მოქვის, ფსირცხის და სხვ. საბჭოთა მეურნეობებში, მახარაძის, ნატანების, ჩაქვის ჩაის ფაბრიკებში.

ინსტიტუტის თითქმის ათწლიანმა სამეცნიერო მუშაობამ შესაძლებელი გახადა მიგვეცა წარმოებისათვის აგროწესები ყველა სუბტროპიკული კულტურების დარგში და უზრუნველგვეყო მოსავლიანობის ზრდა.

ინსტიტუტის მიღწევებიდან, რომლებიც წარმოებას გადაეცა, უმთავრესია: ჩაის ბუჩქის ვეგეტატიური გამრავლების მეთოდები — გადაწვენა, კალმით გამრავლება, ბყნობა, რამაც შესაძლებელი გახადა ჯიშთა შემადგენლობის გაუმჯობესება; ნაიდაგის დამუშავების სიღრმე. 1930 წლამდე მთლიანი დამუშავება სწარმოებდა 30-35 სანტიმეტრის სიღრმეზე. ინსტიტუტის საცდელი მონაცემების საფუძველზე მთლიანი დამუშავება სწარმოებს 45 სანტიმეტრზე, რამაც მოსავლიანობა გაზარდა საშუალოდ 15-18 პროცენტით. ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული მეთოდი ჩაის ბორდიურული გაშენებისა ადიდებს მოსავლიანობას ჭადრაკულ ხერხთან შედარებით 20-25 პროცენტით.

ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ცდების საფუძველზე აზოტოვანი სასუქების საუკეთესო დოზებს წარმოადგენს: საშუალოდ გაეწრებულ ნიადაგებზე 180-220 კილოგრამი აზოტი. წითელმიწა ნიადაგებზე — 210-240 კილოგრამი, რაც იძლევა მოსავლის ზრდას 35-40 პროცენტით.

გამორკვეულია ჩაის კულტურის დანერგვის შესაძლებლობა საქართველოს, აზერბაიჯანის და კრასნოდარის მხარის მთიან რაიონებში. საძიებელი გამოკვლევების მიხედვით გამოვლინებულია 24.000 ჰექტარი ფართობი.

კონსტრუირებულია ჩაის სატრაქტორო და ცხენის კულტივატორები, ჩაის ბუჩქის მოტორიზებული გასასხლავი მანქანა და მიმდინარეობს გაძლიერებული მუშაობა ჩაისსაკრეფი მანქანის კონსტრუქციისათვის; შერჩეულია სიდერაციული მცენარეები; გამომუშავებულია სათესლე და საფოთლე პლანტაციებზე ჩაის ბუჩქების შერჩევის მეთოდიკა; დამუშავებულია საწარმოო მეთოდი ჩაის უხეშის ფოთლისა, ჩაის კულტურისა და წარმოების სხვა ნარჩენებიდან კოფეინის მიღებისა. მეცნიერულად დასაბუთებულია ჩაის ფოთლის ჩქარი ჭკნობის აგრეგატების მუშაობა; შესაძლებელი გახდა შეგვემცირებინა ჭკნობის ხანგრძლივობა 18-20 საათიდან 6-8 საათამდე, რის მეოხებითაც ჩაის ფაბრიკების საჭკნობი შენობების ოდენობა შემცირდა 3-4-ჯერ; შესწავლილია და ფართოდ ინერგება კრეფის სტახანოვური მეთოდები ლაითურისა და ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობების საორგანიზაციო გეგმების შედგენის მაგალითის მიხედვით; დამუშავებულია სუბტროპიკულ საბჭოთა მეურნეობების საორგანიზაციო - სამეურნეო გეგმების მეთოდიკა; რეკომენდებულია წარმოებისათვის „პულვინარიასთან“ —ჩაის ერთერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ მავნებელთან—ბრძოლის ყველაზე ეფექტური აგროტექნიკური და ქიმიური ღონისძიებანი, რეკომენდებულია წარმოებისათვის ინდივიდუალური საფარები და ამხ. ნიკიფოროვის სისტემის ვიწრო და ფართო მილიანი სათბობები, რომლებსაც აქვთ კონსტრუქტიული, თბოტექნიკური და ეკონომიური უპირატესობა საუკეთესო ამერიკულ სათბობებთან შედარებით; დამუშავებულია ლიმონის აგროტექნიკა წესიერი გამოზამთრების მიზნით (გამოყვანილია ლიმონის ქონდარა და განთხმული კულტურა) და სხვ.

ინსტიტუტში იზრდებიან და მეცნიერულად გამოიზარდნენ ახალი საბჭოთა მეცნიერები: ი. გამყრელიძე, მ. სახარულიძე, მ. გზიავა, შ. პატარაია, ი. ხოჭოლავა, გ. ლომინაძე და სხვ., რომლებიც ერთგულად მუშაობენ ძველ სპეციალისტებთან ერთად მთელი რიგი სერიოზული სამეცნიერო პრობლემების გადაჭრაზე.

ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის და პირადად ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ყოველდღიური ყურადღებისა და დახმარების შედეგად.

უნდა ითქვას, რომ ინსტიტუტი ჯერ კიდევ ვერა ფხას სოციალისტური სუბტროპიკული მეურნეობის მოთხოვნათა დონეზე. მავნებლობის შედეგები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი.

ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ საქართველოს ბოლშევიკების XI ყრილობაზე დასახა ინსტიტუტის გარდაქმნის ძირითადი გზები და ამოცანები. ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად - საკავშირო სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის მთელი კოლექტივი დაუღალავად მუშაობს და იმუშავებს სამიწათმოქმედო ორგანოებისათვის დახმარების გასაძლიერებლად ჩვენი პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების საკითხთა გადაჭრაში.

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის სესია, რომელიც გუშინ გაიხსნა ბათუმში, დასახავს მთელ რიგ ამოცანებს ჩაის, ციტრუსების და ტუნგოს კულტურათა შემდგომი მოსავლიანობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტი, გამოიყენებს რა სესიის მასალებს, მიაღწევს სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

ლ. ვ. მარუაშვილი

ჩაის ბრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

„ერმაკი“ მივიდა ლენინგრადს

ლენინგრადი, 14 ოქტომბერი (საკდესი). დღეს ლენინგრადის საბჭოთა ნავსადგურში ემთხვევა მის იუბილეს: 40 წლის წინათ — 1898 წლის 10 ოქტომბერს ნიუკასტლის (ინგლისი) გემთსაშენ ქარხანაში წყალში ჩაუშვეს „ერმაკი“. იმ დროს იგი ყველაზე მძლავრი ყინულმჭრელი იყო მსოფლიოში.

ყინულმჭრელის დაბრუნება ლენინგრადის ნავსადგურში ემთხვევა მის იუბილეს: 40 წლის წინათ — 1898 წლის 10 ოქტომბერს ნიუკასტლის (ინგლისი) გემთსაშენ ქარხანაში წყალში ჩაუშვეს „ერმაკი“. იმ დროს იგი ყველაზე მძლავრი ყინულმჭრელი იყო მსოფლიოში.

მართა მიტინგი.

ფაშისტები ამზადებენ დიდ ომს

მუსოლინი თავხედურად ემუქრება ევროპას

რომი, 14 ოქტომბერი (საკდესი). მიუნხენის კაპიტულაციის შემდეგ ფაშისტური პრესის კილო დღითი-დღე სულ უფროდაუფრო გამომწვევი ხდება. ჰიტლერული ნიმუშის მიხედვით, მუსოლინი და მისი პრესა წინადადებას აძლევენ ევროპას და, უწინარეს ყოვლისა კი, ინგლისსა და საფრანგეთს უსიტყვოდ შეასრულონ ფაშისტური ქვეყნების ყველა შემდგომი მოთხოვნა. რომში უკვე აღარ მიაჩნიათ საჭიროდ დაჰფაროონ, რომ ჩეხოსლოვაკიის დანაწილება მხოლოდ პირველი ნაბიჯია ფაშისტ აგრესორთა მიერ ევროპის რუკის სრული გარდაქმნისათვის დასახულ გზაზე.

ასე, მაგალითად, გაზეთი „მესაჯერო“ სწერს: „ან დაუყოვნებლივი ზავი, რომელიც შეეფერება მიუნხენის შემდეგ ევროპაში შექმნილ ახალ მდგომარეობას, ან და იგივე ზავი მიღებული იქნება აუცილებელი ომის შედეგად“.

არ კმაყოფილდება რა ამ ულტიმატუმით საგარეო პოლიტიკის დარგში, გაზეთი „გადაჭრით აძლევს წინადადებას“ ლონდონსა და პარიზს მიიღონ დემოკრატიული წყობილების ლიკვიდაციისათვის „საჭირო შინაური ზომები“.

„რეჯიმე ფაშისტა“ უხეში ლანძღვა-გინებით გამოიძახილ ინგლისის უაღრესად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების — სამხედრო მინისტრის ჰორ-ბელიშას, იდენის, დაფ კუპერისა და საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეების წინააღმდეგ და მოითხოვს ამ ადამიანთა გადაყენებას და ინგლისისა და საფრანგეთის საშინაო პოლიტიკის შეცვლას.

ინვალიის მოთხოვნები ინგლისისადმი

ლონდონი, 14 ოქტომბერი (საკდესი). როგორც გაზეთ „დეილი უორკერის“ დიპლომატიური მიმომხილველი იუწყება, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიანომ ინგლისის ელჩს რომში პერტს წარუდგინა შემდეგი მოთხოვნები: ინგლის-იტალიის შეთანხმების რატიფიკაცია მანამ, ვიდრე ინგლისის პარლამენტი დათხოვნილ იქნებოდეს საშობაო არადაგებებისათვის; ინგლისმა აღიაროს იმის „უფლება“, რომ იტალიამ მოახდინოს ბალეარის კუნძულების მუდმივი ოკუპაცია; ხმელთაშუა ზღვის პრობლემის საერთო მოგვარება; ინგლისის გარანტია იმისათვის, რომ ყოველგვარი „მთავრობა“, რომელიც შეიქმნება ესპანეთში ინგლისის „შუამავლობის“ შედეგად, მტრულად არ იქნება განწყობილი იტალიის მიმართ და ბოლოს, ინგლისის მიერ იმის „უფლების“ აღიარება, რომ იტალიამ მოითხოვოს „ესპანეთში თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების“ სრული გარანტია.

იტალიის მთავრობის ყველა ეს მოთხოვნა, იუწყება დასასრულ მიმომხილველი, წაყენებულია „მინიმალური საფასურის“ სახით მუსოლინის მზადყოფნისათვის მიიღოს ინგლისის წინადადება ესპანეთის საკითხის „მოწესრიგების“ საქმეში.

ჩეხოსლოვაკიის მინისტრთა უხეში მიღება ბერლინში

ლონდონი, 14 ოქტომბერი (საკდესი). როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, ჩეხოსლოვაკიის მინისტრები ვავრეჩკა და ფაიერაბენდი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის „ჟივნოსტენსკის“ ბანკის თავმჯდომარე პრეისი ბერლინში გაემგზავრნენ. აქ მიღებული ცნობების თანახმად, ბერლინში ისინი ძალიან უხეშად მიიღეს. ფაშისტთა ხელმძღვანელებმა ფაქტიურად უარი განაცხადეს მათთან რაიმე მოლაპარაკების წარმოებაზე და ბოლოსდაბოლოს წინადადება მისცეს მათ უკანვე დაბრუნებულიყვნენ. ამასთან მათ განუცხადეს, რომ „პრაღას თავის დროზე მიეცემა მითითება, თუ რა უნდა გააკეთოს მან შემდეგში“.

აქ მიღებული ცნობების თანახმად, საფრანგეთის ცნობილმა კონცერმა შნეიდერ-კრეზომ ჩეხოსლოვაკიის შკოდის სამხედრო ქარხნების აქციების პაკეტი, რომელიც მას ეკუთვნოდა, მიჰყიდა ინგლის-გერმანიის ახლად შექმნილ საზოგადოებას.

„საერთაშორისოს“ კომისიის მოქმედება

ბერლინი, 14 ოქტომბერი (საკდესი). ეგრეთწოდებულმა „საერთაშორისო“ კომისიამ, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დანაწილებაზე მუშაობს, გუშინდელ სხდომაზე ერთხმად დაადგინა, უარი სთქვას პლებისციტის ჩატარებაზე ცალკეულ რაიონებში, სადაც ნარევი მოსახლეობაა. პლებისციტის ჩატარება გათვალისწინებული იყო მიუნხენის შეთანხმებით.

გერმანიის პრესამ დიდი კმაყოფილებით მიიღო ეგრეთწოდებული „საერთაშორისო“ კომისიის დადგენილება პლებისციტის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს „შესამჩნევად აჩქარებს და აადვილებს მთელი პრობლემის გადაჭრას“. „გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვრის გამოსწორება, — სწერს გაზეთი,—ყველაზე უკეთ იქნება ჩატარებული უშუალო მოლაპარაკებით გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის ეგრეთწოდებულ „საერთაშორისო“ კომისიისათვის გვერდის ახვევით, რომელმაც უკვე შეასრულა თავისი ამოცანა“.

ჯერარი ჩეხოსლოვაკიის სიღეზიაში

ვარშავა, 14 ოქტომბერი (საკდესი). პირველ ნოემბრამდე რამდენიმე ათეული ათასი ჩეხოსლოვაკელი მოქალაქის ჩეხოსლოვაკიის სილეზიის საზღვრებიდან გაძევების შესახებ გამოცემული ბრძანების შემდეგ გამოიცა მთელი რიგი სხვა განკარგულებანი, რაც სრულიად უსპობს ჩეხებს ყველა ელემენტარულ მოქალაქეობრივ უფლებას. ყველა სკოლაში შემოღებულია პოლონური ენა. ყოველგვარი მეცადინეობა იწარმოებს მხოლოდდამხოლოდ პოლონურ ენაზე. ჩეხოსლოვაკიის სასწავლებლები იხურება. დაშლილია აგრეთვე სამოქალაქო მუნიციპალიტეტები და სათემო საბჭოები სოფლებსა და დაბებში, რომელნიც არჩეულ იყვნენ მოსახლეობის მიერ. მათ ადგილზე პოლონელი მოხელეები ინიშნებიან.

სლოვაკიის მთავრობის ღონისძიებანი

პრაღა, 14 ოქტომბერი (საკდესი). ვინაიდან შესაძლებელია, რომ ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ ადგილი ექნეს სხვადასხვა ექსცესებს იმ რაიონებში, რომლებიც უნგრეთის საზღვარზე იმყოფებიან, სლოვაკიის მთავრობამ საგანგებო წესები შემოიღო მთელ რიგ რაიონებში და აკრძალა ნაციონალურ უმცირესობათა (უნგრელების) ბაირაღების გამოფენა, ყოველგვარი ნიშნის, ფორმისა და სხვ. ტარება. ბრატისლავის ქუჩებში საღამოს 9 საათის შემდეგ გამოსვლა აკრძალულია.

სლოვაკიის მთავრობამ იმავე დროს ლეგალური არსებობის ნება დართო ფაშისტურ „გერმანელთა პარტიას“ — ჰენლაინელთა პარტიის ფილიალს.

გერმანიის შპიონაჟი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი (საკდესი). პრესის ცნობათა მიხედვით, ამერიკის საიდუმლო პოლიციის განკარგულებაში არის დამამტკიცებელი საბუთები ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ გავრცელებული გერმანიის სამხედრო შპიონაჟისა. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს ჯაშუშთა მამხილებელი მრავალი დოკუმენტი მოეპოვება, მაგრამ ჯერ მათ არ აქვეყნებს. რუზველტმა ამ ახლო ხნის წინათ განაცხადა, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნას ამერიკის კონტრდაზვერვის ორგანოები. გაზეთების ცნობებით, საიდუმლო პოლიციის არქივებში არის ისეთი ცნობები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ „გერმანია-ამერიკის კავშირის“ (გერმანელ ფაშისტთა ორგანიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში) წევრები შეძრწენ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სამხედრო დაწესებულებაში. ამ კავშირის წევრები მუშაობენ აგენტების შეგროვებაზე მუშაობენ აგენტების შეგროვებაზე ჯაჭვისკაცებსა და მატროსებს შორის. გერმანიის ჯაშუშები მოქმედებენ მჭიდრო კონტაქტით იაპონიის ჯაშუშებთან, რომლებიც დაპარპაშებენ წყნარი ოკეანის სანაპიროებზე სამხედრო-საზღვაო ბაზების რაიონებში. „გერმანია-ამერიკის კავშირის“ განყოფილებებს ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქებში აქვთ სასროლი იარაღი და ისინი სასროლო მეცადინეობას ატარებენ. გერმანელი ფაშისტები მჭიდროდ თანამშრომლობენ ამერიკის ადგილობრივ ფაშისტურ ორგანიზაციებთან, როგორიც არის, მაგალითად, კუ-კლუკს-კლანი. ამ კავშირის განყოფილება კალიფორნიაში მჭიდროდ არის დაკავშირებული მექსიკელ ფაშისტებთან („ოქროს პერანგებთან“). გაზეთების ცნობით, გერმანიის ყოფილმა ოფიციალურმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გერმანიიდან 2,5 მილიონი დოლარი მიიღო შპიონაჟისა და ფაშისტური პროპაგანდის მოსაწყობად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვაშინგტონიდან საგაზეთო ტრესტის სკრიპს-ჰოვარდის პრესის ცნობათა მიხედვით, ევროპის ერთმა ცნობილმა ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები სავსეა უცხოელი ჯაშუშებით“ და რომ „ეს ქვეყანა ჯაშუშთა სამოთხეა“.

ბარათაშვილის ნეშტის გადასვენება

13 ოქტომბრის დილაა. დიდუბეში, დიდებული ქართველი პოეტის საფლავს გარს შემორტყმიან ქართველი პოეტები და მწერლები. 8 საათზე დაიწყო დიდებული პოეტის აკლდამის გათხრა. გამოჩნდა კაკლის ხის კუბო, რომლითაც ბარათაშვილი 1893 წ. გადმოასვენეს განჯიდან. კუბო თითქმის დაშლილი იყო, მთლიანად იყო შენახული მხოლოდ შიგ მოთავსებული ცინკის კუბო, რომელშიც ესვენა ბარათაშვილის ძვლები, მისი ფერფლი...

იაკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადამავსებელი კომისიის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ): ალიო მაშაშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, ილო მოსაშვილი, პოეტის დისშვილის გიორგი სუმბათაშვილისა და მწერლების რაჟდენ გვეტაძისა და პავლე ინგოროყვას თანადასწრებით დიდუბის სასაფლაოს აკლდამიდან იღებენ ცინკის კუბოში მოთავსებულ პოეტის ნეშტს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

პოეტის ნეშტს სამარიდან მოწიწებით იღებენ გადამსვენებელი კომისიის წევრები: **შალვა დადიანი, ალიო მაშაშვილი, გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი,** და საგანგებოდ მომზადებულ ავტომანქანაზე ასვენებენ. დამსწრე პოეტები და მწერლები კუბოს ყვავილებს აყრიან...

მშვენიერი მზიანი დილაა. ავტომანქანა პოეტის ნეშტით შესდგა მთაწმინდის ძირთან. აქედან მამადავითის აღმართზე პოეტის კუბო ხელით მიაქვთ პოეტებსა და მწერლებს.

გადასვენებას დაესწრო პოეტის დისწული გიორგი სუმბათაშვილი. ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადამსვენებელმა კომისიამ მთაწმინდაზე გახსნა ცინკის კუბო. პროფესორ **ვლადიმერ ყიფიანის** მეთაურობით მოხდა ნ. ბარათაშვილის ნეშტის მეცნიერული შემოწმება. პოეტის ჩონჩხი მთლიანად შენახული აღმოჩნდა სახსრებითა და ნაწილებით. ჩონჩხის აღდგენის სურათი ადასტურებს, რომ ნ. ბარათაშვილი საშუალო ტანისა და ძვალმსხვილი კაცი ყოფილა. როგორც ცნობილია, ნ. ბარათაშვილი ოდნავ კოჭლი იყო. მეცნიერულმა ექსპერტიზამ ფეხის მარცხენა ქვედა კიდურაზე დადასტურა დაკოჟრიყება. თავის ქალა საშუალო ზომისაა, კარგად შენახული. კუბოში აღმოჩნდა აგრეთვე ძველებური ქართული ფეხსაცმლის ლანჩა და ქუსლი, აგრეთვე პოეტის ტანსაცმლის ერთი თითბრის ღილი.

ექსპერტიზის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი ჩასვენებულ იქნა ახალ აკლდამაში. მთაწმინდის მარჯვენა მხარეს, ილია ჭავჭავაძის ძეგლის წინა მოედანზე, ნ. ბარათაშვილის საფლავზე მომავალში აღიმართება ახალი ძეგლი იმ ადგილას, რომელსაც 22 წლის პოეტი უმღეროდა:

„ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდაო, ადგილნი შენნი,
დამაფიქრებელნი, ვერანაირ და უდაბურნი...
მახსოვს იგი დრო, სადმო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდეე ბუნდოვან, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წუნარ სალამოს, ვით მგობარს შემოვეტრფოდი...
როს ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!
... ჰოი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს,
რასაც ვფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც
აღმოვიტყოდი;
მხოლოდ გული გრძნობს, თუ ვითარი სძლევენით მას შვება“!

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადასვენებას დაესწრნენ: **შ. დადიანი, ა. მაშაშვილი, ს. შანშიაშვილი, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, ს. ეული, ი. აბაშიძე, ა. გომიაშვილი, კ. გამსახურდია, ს. კლდიაშვილი, ვ. გორგაძე, ა. ქუთათელი, შ. აფხაიძე, რ. გვეტაძე, გ. ქიქოძე, პ. ინგოროყვა, გრ. ცეცხლაძე, ლ. ასათიანი, დ. გაჩეჩილაძე, დ. ბენაშვილი** და სხვები.

ა ქ ვ ი

პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადასვენების შესახებ დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის მწერალთა პანთეონში

1938 წლის 15 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმომტანი კომისიის წევრების ა. მაშაშვილის, შ. დადიანის, გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილის და პროფ. ვლადიმერ ყიფიანის თანადასწრებით დიდუბის პანთეონში გათხრილ იქნა პოეტ ნიკოლოზ მელიტონის-ძე ბარათაშვილის საფლავი. საფლავიდან ნეშტის ამოღებას დაესწრო მწერალთა აქტივი.

საფლავში აღმოჩნდა ცინკის კუბო დაზურული, კარგად შენახული. კაკლის ხის კუბო დაშლილია. ცინკის კუბო არის სიგრძით 97 სანტიმეტრი, სიმაღლით — 25 სან., სიგანით—56 სანტ.

8½ საათზე ნ. ბარათაშვილის ნეშტი გადასვენებულ იქნა მთაწმინდის მწერალთა პანთეონში. პროფ. ვლადიმერ ყიფიანმა მოახდინა ნეშტის მეცნიერული დათვალიერება და ჩონჩხის აღდგენა-გაზომვა. ანთროპოლოგიური ექსპერტიზა ჩაატარა დოც. ა. ჯორბენაძემ.

მეცნიერული ექსპერტიზის დასკვნა ასეთია: ნ. ბარათაშვილის ჩონჩხი ძირითადად კარგად არის შენახული. ჩონჩხის აღდგენის სურათი ადასტურებს, რომ პოეტი საშუალო ტანის და ძვალმსხვილი ყოფილა. მარცხენა ქვედაკიდურის წვივ-კოჭის მიდამოში ძვლებს ეტყობა ოდნავი დაკოჟრება. თავის ქალა და პირისახის ჩონჩხი კარგად შენახულია. თავის ქალა საშუალო ზომისაა.

12 საათზე და 45 წუთზე ნ. ბარათაშვილის ნეშტი ჩასვენებულ იქნა ახალ აკლდამაში.

კომისიის თავმჯდომარე
ალიო მაშაშვილი

კომისიის წევრები: შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი, პროფესორი ვლადიმერ ყიფიანი.

მდივანი: გიორგი აბზიანიძე.

7.700 ცენტნერი შაქარი

ახალი საწარმოო სეზონის პირველ დეკადაში აგარის შაქრის ქარხანამ გადაამუშავა 76.500 ცენტნერი ჭარხალი და 7.700 ცენტნერი შაქარი მიიღო. (საქდესი).

გაიხსნა სპორტის სეზონი

გუშინ გაიხსნა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სეზონი. დაიდგა ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „აბესალომ და ეთერი“ (დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ორდენოსან **შ. აღსაბაძისა**, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი **ი. გამრეკელი**).

მთავარ პარტიებს ასრულებდნენ დამსახურებული და ორდენოსანი არტისტები: **დ. ანდღულაძე** (აბესალომი), **ეკ. სოხაძე** (ეთერი), **პ. ამირანაშვილი** (მურმანი), **ტ. შარაძე** (ნათელა), **ნ. ხარაძე** (მარიხი), **ზ. სვანიძე** (თანდარუხი), მომღერლები **თ. ლაპიაშვილი** (მურმანის და), **გ. გრიგორაშვილი** (აბიათარი) და სხვ.

სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ოპერა საუცხოოდ მიჰყავდა ორდენოსან დირიჟორს **შ. აზმაიპარაშვილს.**

ფეხბურთი

„დინამო“ (თბილისი)—„სტახანოვცი“ (სტალინო).

1:1

გუშინ 15 ოქტომბერს ჭ. სტალინის ჩატარდა მორიგი შეჯიბრება ფეხბურთის სხვ პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის „დინამოს“ და სტალინის „სტახანოვცის“ ოსტატ-ფეხბურთელთა გუნდები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეჯიბრება დამთავრდა ყაიმით 1:1.

2:1

გუშინ, 15 ოქტომბერს, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა საკავშირო პირველობის გათამაშების ერთერთი ცენტრალური მატჩი. თამაშობდნენ პირველობის უძლიერესი პრეტენდენტი ლენინგრადის „დინამო“ და თბილისის „ლოკომოტივი“.

თამაშის მე-38 წუთზე ლენინგრადელების კართან იქმნება საშიშათო მომენტი, მეკარე გამორის ბურთის ასაღებად, მაგრამ მას უსწრებს ლოკომოტიველი ნინუა და პირველ ბურთს ათავსებს მოწინააღმდეგის ბადეში.

მეორე ტაიმი იწყება ისევ ლოკომოტიველების ენერგიული შეტევით და სტუმრები აკეთებენ სამ უდავო პენალტს, მაგრამ მსაჯი რატომღაც ამას „ვერ ხედავს“. ამ მატჩში ლოკომოტიველების ყველა რეგალი იდგა მოწოდების სიმაღლეზე, რის თაც მათ მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

16 ოქტომბერს

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — ლექცია თემაზე: მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლები ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ რუსულ ენაზე. ლექტორი ამხ. ქუთელია. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

საერთაშორისო მდგომარეობის კაბინეტი — ლექცია თემაზე: საბჭოთა პასუხი ესპონელ ომის გამჩაღებლებს. ქართულ ენაზე. ლექტორი ამხ. გეგია. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — ლექცია თემაზე: ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ. რუსულ ენაზე. ლექტორი ამხ. ბაღდასაროვი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

○

16 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტბიხეტში შესდგება კონსულტაცია საერთაშორისო მდგომარეობის საკითხზე. კონსულტანტი ამხ. კრეიტანი.

ქვანახშირი და მარგანეცი

14 ოქტომბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	ამოღება	%
ტყიბული	1012	892	88
ტყვარჩელი	704	544	81
ჭიათურა	—	—	—*)

*) ჭიათურიდან რედაქციას 14 ოქტომბრისათვის ცნობა არ მიუღია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

16/X	წარმოდგენა 25 ნაპერწკლიდან
17/X	წარმოდგენა 26 უღანაშაულოდ დამნაშავენი კრუჩინინა—თამარ ბაქრაძე, შმაგა—დიმიტრი შენგელია.
18/X	წარმოდგენა 27 უღანაშაულოდ დამნაშავენი კრუჩინინა—ნუცა ჩხეიძე, შმაგა—აკაკი ვასაძე.

სალაროს საშუალებით 15 ოქტომბრისათვის გაყიდული ბილეთები გამოდგება 17 ოქტომბერს.
დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

16/X	შ უ რ ი
17/X	ფიგაროს ქორწინება
18/X	დილით ფიგაროს ქორწინება

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

სახსრკი. ტელ. 3-11-44
დღეს
განახლებული მრავალფეროვანი პროგრამა
სამ განყოფილებად.
დათვების
ჯგუფის გამოსვლა.
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.
სალარო ღიაა დილის 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი
1938-39 წ. სეზონი.

16/X	17/X	18/X
მუდ. ადგ. ტალ. № 2 ძერჟინსკი ნყნარი დონი ოპ. 4 მოქ. 6 სურ.	მუდ. ადგ. ტალ. № 3 როსინი სევილიელი დალაქი ოპ. 3 მოქ.	მუდ. ადგ. ტალ. № 4 ბიზე კარმენი ოპ. 4 მოქ.

დასაწყისი 8 საათზე
ბაბონემენტების წარმოდგენები დაიწყება 21 ოქტომბრიდან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938 წ. 3 ნოემბერს, საღ. 8 საათზე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად **ა. ბ. ნამორაძე** დაიცავს დისერტაციის თემაზე:

„ადმინისტრატიული მეურნეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში“

ოპონენტები: პროფ. გ. ნათაძე და პროფ. ნ. დუბროვსკი.
შრომა გამოქვეყნებულია.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
1336 უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე.

კომუნალური მშენებლობის ინჟინერთა მოსკოვის ინსტიტუტის
დაუსწრებელი სწავლების განყოფილება
აცხადებს მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. წყლით მომარაგება და კანალიზაცია.
2. გათბობა და ვენტილაცია.
3. ქალაქის სამოძრაო გზები.

შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ საბუთები და ჩააბარონ გამოცდები უმაღლესი სკოლის სრულიად-საკავშირო კომიტეტის მისაღები წესების თანახმად.

სწავლა უფასოა.

მისაღები გამოცდები იწარმოებს ქ. თბილისში სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტზე (25 თებერვლის ქუჩა, № 2).

განცხადებათა მიღება 1938 წლის 25 ოქტომბრამდე, საღამოს 8-დან 10 საათამდე.

21040 დირექცია.

სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 354 მუხლის თანახმად სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი **ვ. ჯაფარიძე** ამით აცხადებს, რომ 1938 წ. 19 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, ქ. თბილისში, ლენინგრადის ქუჩაზე 8-ა №-ის სახლში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

მოქ. ნიკოლოზ პატარიძის ქონებას: ბუფეტს 1 ც. 1000 მან.
პატარა მაგიდას 1 ც. 100 მან.

ქონება შეფასებულია 1100 მანეთად და გაიყიდება საქმშენის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად სტალინის რაიონის მე-4 უბნის სახ. სასამართლოსაგან 1938 წ. 8 აპრილს № 2/349-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. 21034

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
აცხადებს მიღებას ასპირანტურაში უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლებისათვის დაწესებულ ყველა სპეციალობაში:

ასპირანტურაში მიღებისათვის საჭიროა შემდეგი საბუთები:
1. განცხადება სამი ფოტოგრაფიული სურათით,
2. ავტობიოგრაფია,
3. საერთო განათლების მოწმობა,
4. უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა,
5. პრაქტიკული მუშაობის სტაჟის ცნობა სპეციალობის მიხედვით.
6. ექიმის მოწმობა.

განცხადებების მიღება იწარმოებს 20 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე.

გამოცდების წესი:
1. გამოცდა სპეციალურ საგანში.
2. საერთო გამოკითხვა (კოლლოკვიუმი).
3. უმაღლესი მუსიკალური ცოდნის შემოწმება შემდეგ დისციპლინებში (კონსერვატორიის კურსის ფარგლებში): ა) მუსიკის ისტორია, ბ) მუს. ფორმის ანალიზი, ვ) საერთო კურსი (არაპიანისტებისათვის), გ) ლენინიზმი.

დამატებითი ცნობების მიღება ასპირანტურაში შესვლის შესახებ შეიძლება სასწავლო ნაწილის მდივან ს. ნ. ჩარეიშვილთან ყოველდღე 1-ლი საათიდან 3 საათამდე.

314 დირექტორი კილაძე.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კიროვის ქ., № 68. მთავლიტის რწმუნებული № —1411